პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 227 (5328) | ორშაბათი, 3 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

სანიმუშოდ მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სწავლება (მოწინავე)
ერმაკმა დაამთავრა არქტიკული რეისი (1-ლი გვ.)
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. (მე-2 და მე-3 გვ.)
მსოფლიოს გარდამქმნელი ისტორია („პრავდის“ მოწინავე. მე-3 გვ.)
სრულიად - საქართველოს პირველი სამთო ველოტური (მე-4 გვ.).

უცხოეთში:
ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამოსვლა (1-ლი გვ.)
ერთა ლიგის საბჭოს სესიის დახურვა (1-ლი გვ.)
ს. ალექსეევი. იტალია-აბისინიის ომის სამი წელი (მე-3 გვერდი)
მიუნხენის შეთანხმების სრული ტექსტი (მე-4 გვ.)
ჰიტლერი ცდილობს მოსპოს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო (მე-4 გვ.)
ჩემბერლენმა ჰიტლერს კოლონიები აღუთქვა (მე-4 გვ.).

სანიმუშოდ მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სწავლება

ბოლშევიზმის განვითარების ყველა ეტაპზე ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ პროპაგანდას, როგორც პარტიული მასების იდეურად გამოწრთობისა და რევოლუციური თეორიის დაუფლების უძლიერეს იარაღს. მარქსიზმის გენიალური კლასიკოსები თვითონ იძლეოდნენ პროპაგანდისტული მუშაობის საუკეთესო მაგალითებს და ამ ცოცხალ მაგალითებზე იზრდებოდნენ და იჭედებოდნენ პარტიულ პროპაგანდისტთა ახალ-ახალი კადრები.

თავის წერილში კაპრის პარტიული სკოლის მოსწავლეებისადმი ლენინი სწერდა: „ყოველგვარ სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ლექციების იდეურ - პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? მთლიანად და განსაკუთრებით **ლექტორთა შემადგენლობით**“.

ბოლშევიზმის იდეების ღრმა და დამაჯერებელი პროპაგანდა, უნარი იმისა, რომ მასებში შეიტანო მოწინავე რევოლუციური თეორიის ცოცხალი სიტყვა, აღზარდო უსაზღვრო სიყვარული სოციალიზმის საქმისადმი, შეურიგებლობა და ბოლშევიკური პრინციპულობა მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში — აი რას მოითხოვდა ყოველთვის პარტია პროპაგანდისტისაგან.

ახლა, როდესაც გვაქვს კლასიკური სტალინური სიღრმით დაწერილი მეცნიერული შრომა ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლებისა და გამარჯვებათა წარმტაც ისტორიაზე,—ეს მოთხოვნილება კიდევ უფრო იზრდება.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი წარმოადგენს მძლავრ იარაღს იმისათვის, რომ სწრაფად წავწიოთ წინ მთელი ჩვენი პარტიის მარქსისტულ - ლენინური იდეური გამოწრთობის საქმე. ეს ჭეშმარიტად მეცნიერული ნაშრომი ამდიდრებს კომუნისტებს ჩვენი უძლეველი პარტიის მთელი ისტორიული გამოცდილებით.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო საპატიო და სასახელო, როგორიც არის ბოლშევიზმის იდეების ღრმა პროპაგანდა!

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო საამაყო, როგორიც არის ბოლშევიკი პროპაგანდისტის სახელი?

„იყო ბოლშევიზმის იდეების გამავრცელებელი, პარტიული მასების აღმზრდელი—ეს უდიდესი პატივია, ეს არის პარტიის ნდობის ნიშანი,—რომლითაც უნდა ვამაყობდეთ და რომელსაც ყოველნაირად უნდა ვაფასებდეთ“ („პრავდა“).

ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდა უბრალო საქმე როდია. ყველას როდი შეუძლია აწარმოოს ეს პასუხსაგები საქმე. ნამდვილი ბოლშევიკური პროპაგანდისტი ისაა, ვინც განუწყვეტლივ მუშაობს თავის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, ვინც ეუფლება ბოლშევიზმს, ბოლშევიკური პროპაგანდის ხელოვნებას, ვინც ღრმად, ცოცხლად და დამაჯერებლად განუმარტავს მასებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას.

ბოლშევიკური პროპაგანდის ძალაც ხომ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ღრმა ანალიზს უკეთებს მოვლენებს, სწავლობს მათ კავშირს, არწმუნებს და წინ მიუძღვის ადამიანებს.

განა გასაგები არ არის, რატომ დაიწყო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადება უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევით და მათი წინასწარი თეორიული შეიარაღებით?

პროპაგანდისტების საფუძვლიანი მომზადება, მათი პროპაგანდისტული ოსტატობის ამაღლება პარტიული სწავლების წარმატების სავსებით სავალდებულო პირობაა, რადგან „ეს არის ძირითადი ცენტრალური საკითხი, რომლის გადაუწყვეტლად არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სხვა საკითხები“ („პრავდა“).

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მთელი მოსამზადებელი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლისათვის მიმდინარეობს, პირველ ყოვლისა, პროპაგანდისტთა შერჩევისა და მათი მომზადების ხაზით.

პარტიული ორგანიზაციები გულდასმით არჩევენ პროპაგანდისტებს, აწყობენ კურსებს და სემინარებს მათ მოსამზადებლად, ამარაგებენ პარტიულ კაბინეტებს საჭირო ლიტერატურით, თვალსაჩინო ხელსაწყოებით და ა. შ.

საუკეთესოთ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ. რაიონებში გაცხოველებით სწარმოებს მუშაობა პროპაგანდისტებთან, დიდ სამსახურს უწევენ პროპაგანდისტებს პარტიული კაბინეტები, რომლებიც ახლა განუწყვეტლივ აწყობენ ლექციებს, საუბრებს და კონსულტაციებს პარტიის ისტორიის ცალკეული თავების მიხედვით. უდიდეს სამსახურს უწევს პარტიულ აქტივს და პროპაგანდისტებს ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული განათლების სახლი, თვალსაჩინოდ გაიზარდა ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე დამსწრეთა რიცხვი.

პარტიამ პროპაგანდისტულ სამუშაოზე დააწინაურა ახალი კადრები, რომლებიც დიდ იდეურ-თეორიულ დახმარებას მოითხოვენ, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროპაგანდისტებს, დაეხმარონ მათ ბოლშევიზმის დაუფლებაში.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ და საქარხნო პარტიულმა კომიტეტმაც სწორად შეაფასეს პარტიის ისტორიის შესწავლისათვის პროპაგანდისტების წინასწარი მომზადების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. აქ სისტემატურად მეცადინეობს 70-ზე მეტი პროპაგანდისტი. პროპაგანდისტების დასახმარებლად პარტიულ კაბინეტში მოეწყო გამოფენა. შედგენილია ალბომები, რუკები და სხვა თვალსაჩინო ხელსაწყოები. შეგროვილია ყველა ის სახელმძღვანელო, რომლებიც საჭირო იქნება ცალკეული თავების შესასწავლად.

შესანიშნავად მუშაობს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების პარტიული კაბინეტიც. მოეწყო „პრავდის“ მეთაური წერილებისა, დამხმარე წიგნებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოფენა, რომელიც უდიდეს დახმარებას უწევს არა მარტო პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, არამედ ყველა მუშასაც, ვინც ინდივიდუალურად ეცნობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას. პარტკაბინეტის გამგე ამხ. ბრიგადანი სისტემატურად აწყობს საუბრებს და კონსულტაციებს, რომლებსაც დიდი ინტერესით ესწრებიან. პარტიულმა კაბინეტმა მოაწყო ცალკეული თავების მიხედვით შეგროვილი მასალების მოძრავი გამოფენა ქარხნის საამქროებში.

პარტიის მთელი რიგი რაიკომები უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდგნენ პროპაგანდისტების შემოწმებასა და შერჩევას, ბევრგან პროპაგანდისტთა მომზადებას მეთაურობენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები (თბილისი, ქუთაისი, ხაშური, ბათუმი და სხვ.).

ყველგან როდი იჩენენ განსაკუთრებულ მზრუნველობას პროპაგანდისტებისადმი. ჯერ კიდევ აქვს ადგილი საპარადო ხმაურს და ზერელე დამოკიდებულებას ამ უაღრესად პასუხსაგები საქმისადმი, მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში, რომელიც უდიდეს საწარმოს წარმოადგენს, სათანადოთ არ ზრუნავენ პროპაგანდისტთა კადრების მომზადებაზე. ფაბრიკის პროპაგანდისტი მადლენა მალკოვა გულისტკივილით აცხადებს, რომ მას პარტიული ორგანიზაცია და კერძოდ პარტიული კაბინეტი საჭირო მეთოდურ დახმარებას არ უწევენ. მართლაც ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტკაბინეტში სისტემატურად არ ეწყობა კონსულტაციები და საუბრები, არ მოიპოვება დამხმარე ლიტერატურა და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ პროპაგანდისტებს გორის რაიონშიაც. გორის რაიკომმა დროულად გამოიტანა გადაწყვეტილება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის მზადების შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე რაიკომი ნაკლებად ფიქრობს.

არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც რაიონის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები თავს არიდებენ პროპაგანდისტულ მუშაობას, არ ხელმძღვანელობენ, ანდა არ ესწრებიან სემინარის მეცადინეობას, მაშინ, როდესაც პროპაგანდას უნდა ეწეოდნენ თვით ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები პარტიული კომიტეტის მდივნები და პარტკომების წევრები.

ჩვენს წინაშე ამჟამად მთელი სიგრძე-სიგანით სდგას ამოცანა — ჩავაბათ პარტიული მასები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საქმეში. ჩვენი სახელოვანი პარტიის გმირული წარსულის ღრმად შესწავლა მოითხოვს ბოლშევიკურ დარაზმულობას და დიდ მოსამზადებელ მუშაობას. არაფერია ისე საზიანო, როგორც საპარადო ხმაური, აჩქარება და ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი.

სანიმუშოდ მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სწავლება, დავეხმაროთ მათ პროპაგანდისტული ოსტატობის დაუფლებაში — აი ამოცანა, რომელიც უნდა იდგეს თვითეული პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი ქართულ ენაზე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა ბრიგადამ დაამთავრა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის თარგმნა ქართულ ენაზე. ამჟამად წიგნი იბეჭდება. მას გამოსცემს სახელგამის პოლიტ-ლიტერატურის სექტორი 150 ათასი ცალის რაოდენობით. (საქდესი).

ცნობა თვითმფრინავ „როდინას“ შესახებ

1 ოქტომბერს თვითმფრინავ „როდინას“ ადგილსამყოფელი გამორკვეული არ არის. ძებნა გრძელდება. (საკდესი).

ერთა ლიგის საბჭოს სესიის დახურვა

ჟენევა, 30 სექტემბერი (საკდესი). საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მოხსენება ჩინეთის მთავრობის აპელაციის საკითხზე. მოხსენება აღნიშნავს, რომ ლიგის პლენუმმა უკვე შარშან სცნო უკანონოდ იაპონიის სამხედრო ოპერაციები ჩინეთში. ამის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ იაპონია უარს ამბობს აპელაციის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, მოხსენება აღნიშნავს, რომ „ახლანდელ პირობებში გამოყენებულ უნდა იქნას მე-16 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი და ერთა ლიგის წევრებს უფლება აქვთ არა მარტო იმოქმედონ პლენუმის შარშანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ აგრეთვე ინდივიდუალურადაც მიიღონ მე-16 მუხლით გათვალისწინებული ზომები“.

რაც შეეხება ლიგის ყველა წევრის შეთანხმებულ მოქმედებას, წარსულის გამოცდილებიდან ნათელია, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ამისათვის საჭირო ყველა პირობა.

ჩინეთის დელეგატმა ველინგტონ კუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თუმცა მოხსენება მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მის მთავრობას, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ასეთი შეთანხმებული მოქმედების დაწყება, ხოლო მანამ ლიგის წევრები ინდივიდუალურად შეასრულებენ მე-16 მუხლს.

საბჭოს რამდენიმე წევრმა, კერძოდ ინგლისის, საფრანგეთის, შვეციის, ბელგიის და ლატვიის წარმომადგენლებმა აიღეს სიტყვა იმისათვის, რათა ამათუიმ ფორმით ეგრძნობინებინათ, რომ ისინი არაფრის გაკეთებას არ აპირებენ თავის ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამოსვლა

ამის შემდეგ გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი შემდეგი მოკლე განცხადებით: „მე მინდა დავარწმუნო ჩინეთის წარმომადგენელი ჩვენს თანაგრძნობაში და იმაში, რომ გვესმის მისი დაუკმაყოფილებლობა ჩვენთვის წარმოდგენილი მოხსენებით. მე ვეთანხმები მას, რომ ეს მოხსენება არ შეესაბამება იმას, რისი მოლოდინის უფლებაც ჰქონდა ჩინეთს ერთა ლიგისაგან. ასეთი მოხსენებებით აგრესორებს ვერ შეაკავებ და აგრესიას ვერ შეაჩერებ. ის ფაქტი, რომ ჩვენ გვიხდება ასეთი მოხსენებებით დაკმაყოფილება კიდევ უფრო მეტად სამწუხაროა ახლანდელ მომენტში, როდესაც ესოდენ ბევრი რამ კეთდება ლიგის გარეშე იმისათვის, რომ წაახალისონ აგრესია და უზრუნველჰყონ წარმატება აგრესორებისათვის. ჩემი მთავრობა მზად იქნებოდა ამ მოხსენებაზე უფრო შორს წასულიყო და მიეღო მონაწილეობა კოლექტიურ ღონისძიებებში, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ ერთა ლიგას შეესრულებინა ყველა თავისი ვალდებულება ჩინეთის წინაშე. ინდივიდუალური ზომებით ცოტას გაკეთება შეიძლება აგრესიის შესაჩერებლად, თუ ამ ზომებს არ გაატარებენ ლიგის სხვა წევრები. ჩემი მთავრობა მზად იქნებოდა მიეღო მონაწილეობა კოლექტიურ ღონისძიებათა ასეთ კოორდინაციაში, მაგრამ ვინაიდან სხვა მთავრობები არ სცნობენ ამას თავისთვის შესაძლებლად, იძულებული ვართ ხმა მივცეთ ამ მოხსენებას“.

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა, ისე როგორც ყოველთვის, დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ახალი ზელანდიის დელეგატმა კემპბელმა აგრეთვე გამოსთქვა შეუხარება, რომ წესდებას არ იყენებენ კოლექტიურად და უყოყმანოდ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა პროექტი რეზოლუციისა იმის შესახებ, რომ გაიგზავნოს ჩინეთში ნეიტრალურ მეთვალყურეთა კომისია იაპონელების მიერ მომწამვლელი გაზების გამოყენების შემთხვევების გამოსაძიებლად.

რეზოლუციის პროექტი ავალებს საბჭოში და „28-ის კომიტეტში“ წარმოდგენილ სახელმწიფოებს, რომლებსაც ოფიციალური წარმომადგენლები ჰყავთ ჩინეთში, შეისწავლონ ეს საკითხი მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით. საბჭომ მოიწონა რეზოლუციის პროექტი.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ პლენუმმა მისცეს საბჭოს რეკომენდაცია საჰაერო ბომბარდირებათა წინააღმდეგ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხზე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პლენუმი ურჩევს საბჭოს შეუთანხმდეს ინგლისის მთავრობას, რომ ექსპერტთა კომისიამ, რომელიც ამ საკითხზე უკვე მუშაობს ესპანეთში, უგზავნოს თავის მოხსენებათა ასლები ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოებისათვის დასაგზავნად. ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა გაუგზავნოს ეს ასლები ერთა ლიგას. საბჭომ დაამტკიცა მოხსენება.

დასასრულ განხილულ იქნა ესპანეთის მთავრობის თხოვნა, რომ დაინიშნოს საერთაშორისო კომისია ესპანეთის მთავრობის მიერ რესპუბლიკური არმიის უცხოელ მეომართა გაწვევის შესამოწმებლად. ამის გამო წარმოდგენილი მოხსენება ურჩევს საბჭოს მოიწონოს ასეთი კომისიის გაგზავნის პრინციპი. საბჭომ მოიწონა მოხსენება და რეზოლუცია.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს სესია დახურულად გამოაცხადა.

ჟენევა, 1 ოქტომბერი (საკდესი). ერთა ლიგის პლენუმის დახურვამდე პლენუმის თავმჯდომარემ ბიუროს სახელით შემოიტანა წინადადება, რომ, საერთო პოლიტიკური სიტუაციის გამო, პლენუმის ახლანდელი სესია ითვლებოდეს ფორმალურად არა დახურული, არამედ მხოლოდ შეწყვეტილად. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. გრომოვი და მაზურუკი სოხუმში, აგარაკ სინოპში.

ფოტო ა. ღლონტისა

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ დ. ი. არაყიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მთელ რიგ საბჭოთა სიმღერების შექმნის საქმეში დამსახურებისათვის, ამ სიმღერებისა, რომლებიც ხალხის ფართო მასების საკუთრებად იქცა, კომპოზიტორ დიმიტრი იგნატის ძე არაყიშვილი დაჯილდოებულ იქნეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1 ოქტომბერი, 1938 წ.

„ერმაკმა“ დაამთავრა არქტიკული რეისი

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში 1 ოქტომბერს მიღებულია ცნობა, რომ ყინულმჭრელი „ერმაკი“ მშვიდობით ჩავიდა მურმანსკში. დიდი არქტიკული რეისი, რომელიც ჯერ კიდევ 11 მაისს დაიწყო, დამთავრებულია. თავისი ყინულოვანი ლაშქრობის დროს „ერმაკმა“ მიაღწია ჩრდილოეთის განედის 82 გრადუსსა და 46 წუთს და აღმოსავლეთის გრძედის 138 გრადუსსა და 25 წუთს.

„ერმაკმა“ ლაშქრობა დაიწყო ლენინგრადიდან, მოიარა მურმანსკი, ფრანც იოსების მიწა, დიქსონის კუნძული, სადაც წმინდა წყალში გაიყვანა მოზამთრე გემები, გამოიყვანა გემების ქარავანი დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ყინულმჭრელის ერთ-ერთი უაღრესად პასუხსაგები ოპერაცია არის „ლიტკეს“ გემთა მოზამთრე ქარავნის განთავისუფლება ყინულოვანი ტყვეობიდან: „რუსეთის ყინულმჭრელთა ფლოტის მამამთავარმა“ მშვენივრად გაართვა თავი „სადკოს“ და „მალიგინის“ გამოყვანისა და წმინდა წყალში გემთა იმ ქარავნის გაყვანის (პეტრეს კუნძულებიდან ჩელიუსკინის კონცხამდე) ოპერაციას, რომელიც ამთავრებდა 1938 წლის ნავიგაციას.

„ერმაკით“ მურმანსკში დაბრუნდა საზღვაო ოპერაციათა ხელმძღვანელი არქტიკის დასავლეთ სექტორში საბჭოთა კავშირის გმირი მ. ი. შევილიოვი. (საკდესი).

თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში

ლენინგრადი, 1 ოქტომბერი (ტელეგრ. ჩვენი საკ. კორ.). 2 ოქტომბერს წარმოდგენა „დაისით“ თბილისის ოპერის თეატრი ამთავრებს თავის გასტროლებს ლენინგრადში. თეატრმა დასდგა სულ 42 წარმოდგენა, მათ შორის 5 საშეფო წარმოდგენა წითელი არმიისა და ფლოტისათვის, კომკავშირისათვის და ხელოვნების მუშაკთათვის. ყველა წარმოდგენას ასიათას კაცამდე დაესწრო.

3 ოქტომბერს თეატრის კოლექტივი სპეციალური მატარებლით თბილისს გამოემგზავრება. იმავე დღეს მოსკოვს გაემგზავრება კონცერტების გასამართავად თეატრის ოსტატთა შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიც შედიან სოხაძე, ანდღულაძე, ამირანაშვილი, ცომაია, გამრეკელი, ხარაძე. მეორე შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიც შედიან ქუმსიაშვილი, ნაკაშიძე, ვენაძე, სუხიშვილი და მოცეკვავეთა ანსამბლი, მიემგზავრება კარელიის რესპუბლიკაში, ქალაქ პეტროზავოდსკში, სადაც გამართავს კონცერტებს და დასდგამს ოპერების ნაწყვეტებს.

რ. ხალილოვი

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება

გუშინ, საღამოს, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო აქტივის კრების მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას მოხსენების გარშემო.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დარაშვილმა (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი), ნ. ბაგაშენაშვილმა (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), რ. მოწერელიამ (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ბაღდასაროვმა (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი) და სხვ.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. მირცხულავა.

საინსტრუქციო მოხსენებით საქ. ალკკ ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოთა ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების შესახებ გამოვიდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე. ამით დამთავრდა აქტივის კრება.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქჩაის“ 1 ოქტომბრის ცნობებით)

1 ოქტომბრისთვის საქართველოში დამზადებული იყო სულ 30.431.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი — წლიური გეგმის 86,9 პროცენტი. სექტემბრის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო 48,7 პროცენტით.

ბათუმის რაიონს 1 ოქტომბრისათვის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა 101,9 პროცენტით, სექტემბრისა კი—123 პროცენტით. ქობულეთის რაიონს წლიური გეგმა შესრულებული აქვს 96 პროცენტით.

გეგმების შესრულებაში ყველაზე ჩამორჩენილი არიან ტყიბულის, ქუთაისის, წულუკიძის და ცხაკაიას რაიონები. ტყიბულის რაიონმა სექტემბრის გეგმა მხოლოდ 8,5 პროცენტით შეასრულა, ცხაკაიას რაიონმა—11,8-ით, ქუთაისის რაიონმა — 14,8-ით.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 1 ოქტომბრისათვის შესრულებული ჰქონდა გალის რაიონს 88,6 პროცენტით, ოჩამჩირეს—92-ით, მახარაძეს —90 -ით, ჩოხატაურს — 83,1-ით, ლანჩხუთს —78,2-ით, სამტრედიას—76,8-ით, წულუკიძეს — 82,9-ით, გეგეჭკორს — 84,1-ით, ზუგდიდს—76,9-ით, წალენჯიხას—81,9-ით, ჩხოროწყუს — 83.3-ით და ხობის რაიონს 87,8 პროცენტით.

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი

ჩეხოსლოვაკიის არმიის მთავარსარდლის გენერალ კრეიჩის ბრძანება

პრაღა, 1 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა კრეიჩმა გასცა შემდეგი ბრძანება არმიისადმი.

„მსოფლიო მნიშვნელობის ამბების ზეგავლენით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ჩვენი სახელმწიფოს ზოგიერთი ოლქის დათმობაზე მეზობელ სახელმწიფოსათვის. ღრმა მწუხარებამ მოიცვა არმია. ჩვენ, ჯარისკაცები, მუდამ წარმოვადგენდით ერის სიამაყეს და ასეთი უნდა დავრჩეთ ახლაც ამ მძიმე წუთებში. დასავლეთი ევროპა კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან ამ მსხვერპლის გაღებას. ჩვენს ფიცში, რომელიც მივეცით რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთავრობას, ჩვენ აღუთქვით, რომ დავემორჩილებოდით მათ ყოველგვარ პირობებში. ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ ეს ჩვენი ვალი უაღრესად მძიმე პირობებში. ჩვენ, ჯარისკაცები, მოვალენი ვართ ჩავიხშოთ ჩვენი გრძნობები და დავემორჩილოთ ბრძანებას“.

„რესპუბლიკისათვის მომავალში,—ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში,—საჭირონი ვიქნებით ჩვენ, საჭირო იქნება ჩვენი ძალა და ერთიანობა. შევინარჩუნოთ სიმშვიდე და დარაზმულობა. თავისი საბრძოლო მზადყოფნით არმიამ ერი დაიცვა კიდევ უფრო დიდი საფრთხისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხი გადაიტანს ახლანდელ მძიმე განსაცდელს. ჩვენ, ჯარისკაცები, პირველ რიგში ვიზრუნებთ ამაზე“.

უნგრეთის მთავრობა ტერიტორიულ დათმობებს მოითხოვს ჩეხოსლოვაკიისაგან

პრაღა, 2 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტში უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა იმრედიმ სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი უნგრეთის დამოკიდებულებაზე მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი. უნგრეთის მთავრობა, განაცხადა იმრედიმ, უკმაყოფილოა იმით, რომ მიუნხენის კონფერენციამ „გვერდი აუარა“ უნგრელთა უმცირესობის ინტერესებს ჩეხოსლოვაკიაში. უნგრეთის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ ტერიტორიულ დათმობებს ჩეხოსლოვაკიისაგან. უახლოეს დროში ამ საკითხზე მოელიან უნგრეთის მთავრობის ოფიციალურ ნოტას.

ჰენლაინი დაინიშნა სუდეტის ოლქის „სახელმწიფო კომისრად“

ბერლინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ჰიტლერის ბრძანება ჩეხოსლოვაკიისაგან ჩამოშორებული რაიონების მართვა-გამგეობის წესის შესახებ. სუდეტის რაიონების მართვა-გამგეობის სათავეში დაყენებულია „სუდეტის გერმანელთა ოლქის სახელმწიფო კომისარი“, რომელიც უშუალოდ ჰიტლერს ემორჩილება. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ჰენლაინი.

პასიონარია—ესპანეთის კორტესების თავმჯდომარის მოადგილე

ბარსელონა, 2 ოქტომბერი (საკდესი). ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) სხდომაზე, რომელიც 30 სექტემბერს შესდგა, კორტესების თავმჯდომარის მეოთხე მოადგილედ ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა დოლორეს იბარური (პასიონარია).

დემონსტრაციები პრაღაში

პრაღა, 1 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ პრაღაში მთელი დღის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის დანაწილების საკითხის შესახებ მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაციები ხდებოდა. ქალაქის ქუჩებში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასობით ხალხმა ნაციონალური დროშებით. ვაცლავის მოედანზე რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ცნობამ იმის შესახებ, რომ მთავრობა თანახმა არის ტერიტორიულ დათმობაზე, დემონსტრაციის მრავალი მონაწილე ტირილითა და ისტერიით შეხვდა.

ფაშისტი პროვოკატორები, რომლებიც ხალხში დაძვრებოდნენ, შეეცადნენ მოსახლეობა ექსცესებისა და დარბევისათვის წაექეზებინათ. მაგრამ ამ პროვოკაციებს არავინ აჰყვა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერებით: „ძირს კაპიტულანტები!“, „სირცხვილი აგრესორების ხელის შემწყობთ — საფრანგეთსა და ინგლისს“. პოლიციამ ალყა შემოარტყა ქალაქის ცენტრალურ მოედანს და გზა ვადაუღობა დემონსტრანტებს პრეზიდენტის რეზიდენციისაკენ, პარლამენტისა და მთავრობის დაწესებულებათაკენ.

საფრანგეთის 5 ათასი ჯარისკაცის მომავალი გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში

პარიზი, 2 ოქტომბერი (საკდესი). „ინტრანსიჟანი“ იუწყება, რომ მომავალი კვირის დამლევს საფრანგეთის 5 ათასი ჯარისკაცი მიუნხენის შეთანხმების შესაბამისად გაგზავნილ იქნება ჩეხოსლოვაკიაში.

საფრანგეთის ჯარის ამ გაგზავნის შესახებ პრემიერი დალადიე ინფორმაციით გამოვა საფრანგეთის მთავრობის მომავალ 4 ოქტომბრის სხდომაზე.

მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის კომიტეტის შექმნა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 2 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და პოლიტიკური საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება ოთხი სახელმწიფოს მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის სპეციალური სამინისტრო კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის კომპეტენციაში შედის რესპუბლიკის ახალი საზღვრების დადგენის საკითხი, მოსახლეობის ევაკუაცია იმ რაიონებიდან, რომლებიც გერმანიის ხელში გადადის, სასწრაფო საფინანსო და ეკონომიური ღონისძიებანი და სხვ.

კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია პრემიერ-მინისტრი გენერალი სიროვი, მის მოადგილედ — შინაგან საქმეთა მინისტრი იან ჩერნი.

ინგლისის საზღვაო მინისტრის გადადგომა

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება რადიოთი, დღეს ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ საზღვაო მინისტრი დაფ კუპერი გადადგა. თავის წერილში ჩემბერლენისადმი დაფ კუპერი პირდაპირ აცხადებს, რომ მიზეზი, რომელიც მას აიძულებს გადადგეს, არის ის, რომ „იგი სრულიად არ ეთანხმება საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ინგლისის ახლანდელი მთავრობა ატარებს და, როგორც სჩანს, მომავალშიაც განაგრძობს“. ჩემბერლენი დასთანხმდა დაფ კუპერის გადადგომაზე.

ტეშინის გადაცემა პოლონეთის ხელისუფალთათვის

ვარშავა, 2 ოქტომბერი (საკდესი). დღეს 13 საათზე ვარშავის დროით დაიწყო ქალაქ ჩესკი-ტეშინის გადაცემა პოლონეთის სამხედრო ხელისუფალთათვის. ქალაქის დაკავების შემდეგ დაიწყება ტეშინის და ფრიშტატის რაიონების თანდათანობით გადაცემა, რაც 10 ოქტომბრისათვის უნდა დამთავრდეს.

პოლონეთის ელჩს პრაღაში დავალებული აქვს აწარმოოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან მოლაპარაკება იმ ოლქების დადგენის შესახებ, რომლებშიაც პლებისციტი უნდა გატარდეს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით.

მოკლე კურსი.

მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის ძიერ. 1938 წელი.

(გაგრძელება*)

ამხ. სტალინმა ასე ჩამოაყალიბა პარტიის ორგანიზაციული ამოცანები ახალ ეტაპზე:

1) შევუფარდოთ ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს;

2) ავამაღლოთ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე;

3) მივაღწიოთ იმას, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სავსებით უზრუნველჰყოფდეს პარტიის პოლიტიკური ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

ამთავრებდა რა მოხსენებას, ამხ. სტალინი გვაფრთხილებდა, რომ, თუმცა სოციალიზმის წარმატებანი დიდია და ისინი კანონიერი სიამაყის გრძნობას გვინერგავენ, მაგრამ არ შეიძლება გავბრუვდეთ მიღწეული წარმატებებისაგან, არ შეიძლება „თავს გავიდეთ" და თავს ნანას ვეუბნებოდეთ.

„...ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, — არამედ უნდა ვანვითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი, — არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა მოვახდინოთ, — არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში მეორე ხუთწლედის განსახორციელებლად", — მიგვითითებდა ამხ. სტალინი (ლენინიზმის საკითხები, გვ. 596.—ქართ. 1935 წ. გამოცემის გვ. 703).

XVII ყრილობამ მოისმინა ამხანაგების მოლოტოვისა და კუიბიშევის მოხსენებები სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები კიდევ უფრო გრანდიოზული იყო, ვიდრე პირველი ხუთწლედის ამოცანები. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის, 1937 წლისათვის, სამრეწველო პროდუქციით ომამდელ დონესთან შედარებით უნდა გაზრდილიყო, დაახლოებით, რვაჯერ. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მთელ სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედისათვის დასახული იყო 133 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად პირველი ხუთწლედის 66 მილიარდზე მეტი მანეთისა.

კაპიტალურ სამუშაოთა ასეთი უდიდესი გაქანება უზრუნველჰყოფდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სრულ ტექნიკურ ხელახლა შეიარაღებას.

მეორე ხუთწლედში ძირითადად მთავრდებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. სატრაქტორო პარკის სიმძლავრე უნდა გადიდებულიყო 1932 წლის ორი და ერთი მეოთხედი მილიონი ცხენის ძალიდან რვა მილიონზე მეტ ცხენის ძალამდე 1937 წელს. დასახული იყო აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის ფართოდ დანერგვა (სწორი თესლბრუნვები, წმინდა ჯიშის თესლით თესვა, მძრალად ხვნა და სხვ.).

უდიდესი სამუშაოები იყო დასახული ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

დასახული იყო მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ფართო პროგრამა.

XVII ყრილობამ დიდი ყურადღება მიაპყრო ორგანიზაციულ საკითხებს და მიიღო სპეციალური გადაწყვეტილებანი პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების მიხედვით. ორგანიზაციულმა საკითხმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, როდესაც პარტიის გენერალურმა ხაზმა გაიმარჯვა, როდესაც პარტიის პოლიტიკა შემოწმებულ იქნა ცხოვრებით, მილიონობით მუშებისა და გლეხების გამოცდილებით. მეორე ხუთწლედის ახალი რთული ამოცანები მოითხოვდნენ მუშაობის ხარისხის ამაღლებას ყველა დარგში.

„მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები — კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში, დამთავრება მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა უახლეს ტექნიკურ ბაზაზე, ახალი ტექნიკისა და ახალი საწარმოების ათვისება, სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია და მისი პროდუქტიულობის ამაღლება — ყოველივე ეს მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს **ყველა დარგში მუშაობის ხარისხის, პირველ რიგში ორგანიზაციულ - პრაქტიკული ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლების შესახებ**", — ნათქვამი იყო ყრილობის გადაწყვეტილებებში ორგანიზაციულ საკითხებზე. (საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციები, ნაწ. II, გვ. 591).

XVII ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის ახალი წესდება, რომელიც ძველი წესდებისაგან განსხვავდება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ წესდებაში შეტანილია შესავალი ნაწილი. წესდების შესავალ ნაწილში მოცემულია მოკლე განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა, განსაზღვრა მისი მნიშვნელობისა პროლეტარიატის ბრძოლისათვის და მისი ადგილი პროლეტარული დიქტატურის ორგანოთა სისტემაში. ახალი წესდება დაწვრილებით ჩამოსთვლის პარტიის წევრის მოვალეობებს. მასში შემოღებულია პარტიაში მიღების უფრო სასტიკი წესები და პუნქტი თანამგრძნობთა ჯგუფების შესახებ. წესდებაში უფრო დაწვრილებით არის დამუშავებული პარტიის ორგანიზაციული შენების საკითხი, ახლებურად ფორმულირებულია პუნქტები პარტიის წინანდელი უჯრედების — პირველადი ორგანიზაციების შესახებ, როგორც მათ ეწოდათ პარტიის XVII ყრილობიდან. ახალ წესდებაში ახლებურად ფორმულირებულია აგრეთვე პუნქტები შინაპარტიული დემოკრატიისა და პარტიული დისციპლინის შესახებ.

4. ბუხარინელების გადაგვარება პოლიტიკურ ორგულებად. ტროცკისტ ორგულთა გადაგვარება მკვლელებისა და ჯაშუშების თეთრგვარდიულ ბანდად. ს. მ. კიროვის ავაზაკურად მოკვლა. პარტიის ღონისძიებანი ბოლშევიკების სიფხიზლის გასაძლიერებლად.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებანი ახარებდნენ არა მარტო პარტიას, არა მარტო მუშებსა და კოლმეურნეებს. ისინი ახარებდნენ აგრეთვე მთელ ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას, სსრ კავშირის ყველა პატიოსან მოქალაქეს.

ეს წარმატებანი არ ახარებდნენ და სულ უფრო და უფრო აბოროტებდნენ დამარცხებული ექსპლუატატორული კლასების ნაშთებს.

ეს წარმატებანი იწვევდნენ დამარცხებული კლასების დამქაშთა — ბუხარინელთა და ტროცკისტთა უბადრუკი ნაშთების გაფთრებას.

ეს ვაჟბატონები მუშათა და კოლმეურნეთა მიღწევებს აფასებდნენ არა ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, რომელიც მიესალმებოდა ყოველ ასეთ მიღწევას, არამედ თავისი უბადრუკი, ცხოვრებას მოწყვეტილი და მთლად დამპალი ფრაქციული ჯგუფის თვალსაზრისით. ვინაიდან სოციალიზმის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში, მოასწავებდნენ პარტიის პოლიტიკის გამარჯვებას და ამ ვაჟბატონების პოლიტიკის საბოლოო ჩაფუშვას, ისინი, ნაცვლად იმისა, რომ ეღიარებინათ აშკარა ფაქტები და ჩაბმულიყვნენ საერთო საქმეში, შურს იძიებდნენ პარტიასა და ხალხზე თავიანთი მარცხისათვის, თავიანთი გეგმების ჩაფუშვისათვის, დაიწყეს მუშებისა და კოლმეურნეების საქმისათვის ზიანისა და ვნების მიყენება, შახტების აფეთქება, ქარხნებისათვის ცეცხლის წაკიდება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მავნებლობის გაწევა, — რათა ჩაეშალნათ მუშათა და კოლმეურნეთა მიღწევები და გამოეწვიათ ხალხში უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ხოლო ამასთან თავისი უბადრუკი ჯგუფი რომ გადაერჩინათ მხილებისა და განადგურებისაგან, მათ აიფარეს პარტიისადმი ერთგულ ადამიანთა ნიღაბი, შეუდგნენ სულ უფრო და უფრო მეტად ლაქუცობას პარტიის წინაშე, პარტიის ქებათა-ქებას, მის წინაშე მუცელზე ხოხვას, სინამდვილეში კი განაგრძობდნენ თავიანთ ფარულ ძირგამომთხრელ მუშაობას მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

პარტიის XVII ყრილობაზე ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი გამოვიდნენ მონანიებითი სიტყვებით, ხოტბას ასხამდნენ პარტიას და ცამდე აჰყავდათ მისი მიღწევები. მაგრამ ყრილობა გრძნობდა, რომ მათი სიტყვები არაგულწრფელობისა და ორგულობის დაღს ატარებდა, ვინაიდან პარტია მოითხოვს თავისი წევრებისაგან არა ქებათა-ქებას და მისი მიღწევებისათვის ხოტბის შესხმას, არამედ პატიოსან მუშაობას სოციალიზმის ფრონტზე, რაც, უკვე დიდიხანია არ ჩანდა ბუხარინელების მხრით. პარტია ხედავდა, რომ სინამდვილეში ეს ვაჟბატონები თავისი ყალბი სიტყვებით ხმას აწვდიდნენ თავიანთ მომხრეებს ყრილობის გარეთ, ასწავლიდნენ მათ ორგულობას და მოუწოდებდნენ არ დაეყარნათ იარაღი.

XVII ყრილობაზე გამოვიდნენ აგრეთვე ტროცკისტები — ზინოვიევი და კამენევი, რომელნიც ზომაზე მეტად თავს იმათრახებდნენ თავიანთი შეცდომებისათვის და ქებათა-ქებას ასხამდნენ პარტიას — აგრეთვე ზომაზე მეტად — მისი მიღწევებისათვის. მაგრამ ყრილობას არ შეიძლებოდა არ დაენახა, რომ როგორც გულისამრევი თავისგვემა, ისე მოთაფლული ქება პარტიისა წარმოადგენენ ამ ვაჟბატონთა სინიდისის მეორე მხარეს, სინიდისისა, რომელიც წმინდა და დამშვიდებული არ არის. მაგრამ პარტიამ ჯერ კიდევ არ იცოდა, ვერ მიმხვდარიყო, რომ ეს ვაჟბატონები, გამოდიოდნენ რა ყრილობაზე მოთაფლული სიტყვებით, ამავე დროს ამზადებდნენ ს. მ. კიროვის ავაზაკურად მოკვლას.

1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში სმოლნიში რევოლვერის ტყვიით ავაზაკურად მოჰკლეს ს. მ. კიროვი.

ბოროტმოქმედების ადგილზე დაპატიმრებული მკვლელი აღმოჩნდა წევრი კონტრრევოლუციური არალეგალური ჯგუფისა, რომელიც ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის მონაწილეთა რიცხვიდან მოეწყო ლენინგრადში.

ს. მ. კიროვის, პარტიის საყვარელი ადამიანის, მთელი მუშათა კლასის საყვარელი ადამიანის მკვლელობამ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი მრისხანება და დიდი მწუხარება.

გამოძიებით დადასტურდა, რომ 1933-34 წელს ლენინგრადში ზინოვიევის ოპოზიციის ყოფილ მონაწილეთა რიცხვიდან შეიქმნა არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფი ეგრეთწოდებული „ლენინგრადის ცენტრის" მეთაურობით. ეს ჯგუფი თავის მიზნად ისახავდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა მოკვლას. პირველ მსხვერპლად დასახული იყო ს. მ. კიროვი. ამ კონტრრევოლუციური ჯგუფის მონაწილეთა ჩვენებებიდან გამოირკვა, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ უცხოეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, იღებდნენ მათგან ფულს.

ამ ორგანიზაციის გამომჟღავნებულ მონაწილეებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

მალე გამორკვეულ იქნა არალეგალური კონტრრევოლუციური „მოსკოვის ცენტრის" არსებობა. გამოძიებამ და სასამართლომ გამოარკვიეს ზინოვიევის, კამენევის, ევდოკიმოვის და ამ ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელთა საზიზღარი როლი თავის თანამოაზრეებს შორის ტერორისტულ განწყობილებათა დანერგვის საქმეში, ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის წევრთა მოკვლის მომზადების საქმეში.

ამ ადამიანების ორგულობა და სისაძაგლე იქამდე მივიდა, რომ ზინოვიევმა—ს. მ. კიროვის მოკვლის ერთერთმა ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა, რომელიც აჩქარებდა მკვლელს მალე შეესრულებინა ეს ბოროტმოქმედება, — კიროვის გარდაცვალების გამო დაწერა შექების ნეკროლოგი და მოითხოვა მისი დაბეჭდვა.

თავი მოაჩვენეს რა სასამართლოში მონანიებულად, ზინოვიეველები საქმით ამ მომენტშიც განაგრძობდნენ ორგულობას. მათ დამალეს თავისი კავშირი ტროცკისთან. მათ დამალეს, რომ ტროცკისტებთან ერთად მიეყიდნენ ფაშისტურ დაზვერვებს, დამალეს თავისი ჯაშუშურ-მავნებლური საქმიანობა. ზინოვიეველებმა დამალეს სასამართლოში თავისი კავშირი ბუხარინელებთან, ფაშიზმის დაქირავებულ აგენტთა გაერთიანებული ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის არსებობა.

ამხ. კიროვის მკვლელობა, როგორც უფრო გვიან გამოირკვა, ჩადენილი იყო ამ გაერთიანებული ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის მიერ.

უკვე მაშინ, 1935 წელს, ნათელი გახდა, რომ ზინოვიევის ჯგუფი წარმოადგენს შენიღბულ თეთრგვარდიულ ორგანიზაციას, რომელიც სავსებით ღირსია იმისი, რომ მის წევრებს მოეპყრან, როგორც თეთრგვარდიელებს.

ერთი წლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ კიროვის მკვლელობის ნამდვილი, პირდაპირი და ჭეშმარიტი ორგანიზატორები და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრების მკვლელობისათვის მოსამზადებელი ნაბიჯების ორგანიზატორები იყვნენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და მათი თანამზრახველები. სამართალში მიცემული იყვნენ ზინოვიევი, კამენევი, ბაკაევი, ევდოკიმოვი, პიკელი, ი. ნ. სმირნოვი, მრაჩკოვსკი, ტერ-ვაგანიანი, რეინგოლდი და სხვები. ბოროტმოქმედნი, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს, იძულებული იყვნენ საჯაროდ ეღიარებინათ სასამართლოში, რომ მათ მოაწყეს არა მარტო კიროვის მკვლელობა, არამედ ამზადებდნენ პარტიისა და მთავრობის ყველა დანარჩენი ხელმძღვანელის მოკვლასაც. შემდეგში გამოძიებამ გამოარკვია, რომ ეს ავაზაკები დაადგნენ დივერსიული აქტების ორგანიზაციის გზას, შპიონაჟის გზას. ამ ადამიანების უსაშინელესი ზნეობრივი და პოლიტიკური დაცემა, ყველაზე საზიზღარი სულმდაბლობა და გამცემლობა, რასაც პარტიის ერთგულების შესახებ ორგულური განცხადებებით ჰფარავდნენ, გამომჟღავნებულ იქნა სასამართლო პროცესზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1936 წელს.

მკვლელთა და ჯაშუშთა მთელი ამ ბანდის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო იუდა ტროცკი. ტროცკის თანაშემწეები და მისი კონტრრევოლუციური მითითებების შემსრულებლები იყვნენ ზინოვიევი, კამენევი და მათი ტროცკისტული ნაბოლარები. ისინი ამზადებდნენ სსრ კავშირის დამარცხებას იმ შემთხვევაში, როდესაც მას თავს დაესხმოდნენ იმპერიალისტები. ისინი გახდნენ პორაჟენცები მუშურ - გლეხური სახელმწიფოს მიმართ, ისინი გახდნენ გერმანია - იაპონიის ფაშისტთა საზიზღარი მსახურები და აგენტები.

ძირითადი გაკვეთილი, რომელიც პარტორგანიზაციებს უნდა გამოეტანათ ს. მ. კიროვის ავაზაკური მკვლელობის საქმის გამო ჩატარებული სასამართლო პროცესებიდან, იმაში მდგომარეობდა, რომ მოეხდინათ თავისი საკუთარი პოლიტიკური სიბეცის ლიკვიდაცია, მოეხდინათ თავისი პოლიტიკური უდარდელობის ლიკვიდაცია და გაეძლიერებინათ თავისი სიფხიზლე, პარტიის ყველა წევრის სიფხიზლე.

თავის წერილში პარტიის ორგანიზაციებისადმი, რომელიც ს. მ. კიროვის ავაზაკურ მკვლელობასთან დაკავშირებით გამოიცა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა:

„ბოლო უნდა მოვუღოთ ოპორტუნისტულ უდარდელობას, რაც გამომდინარეობს შემცდარი მოსაზრებიდან, რომ ჩვენი ძალების ზრდის მიხედვით მტერი თითქოს უფრო თვინიერი და უვნებელი ხდება. ასეთი მოსაზრება სრულიადაც არ არის სწორი. იგი წარმოადგენს მემარჯვენე გადახრის გამოსახულებას, გადახრისა, რომელიც ყველას და ყოველივეს არწმუნებდა, რომ მტრები ნელნელა შეცოცდებიან სოციალიზმში, რომ ისინი, ბოლოსდაბოლოს, ნამდვილი სოციალისტები გახდებიან. ბოლშევიკებს არ შეჰფერით მიეცნენ განცხრომასა და დოყლაპიობას. ჩვენ უდარდელობა კი არ გვჭირდება, არამედ სიფხიზლე, ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო უიმედოა მტრების მდგომარეობა, მით უფრო ხალისით მოებღაუჭებიან ისინი „უკიდურეს საშუალებას", როგორც განწირულთა ერთადერთ საშუალებას მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უნდა გვახსოვდეს ეს და ვიყოთ ფხიზელი".

ბ) „სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ პარტიის ისტორიის სწავლება პარტიის წევრებს შორის, ჩვენი პარტიის ისტორიაში ყველა და ყოველგვარი ანტიპარტიულ დაჯგუფებათა, პარტიის ხაზთან ბრძოლის მათი ხერხების, მათი ტაქტიკის შესწავლა, და — მით უმეტეს—ანტიპარტიულ დაჯგუფებებთან ჩვენი პარტიის ბრძოლის ტაქტიკისა და ხერხების შესწავლა, იმ ტაქტიკისა და ხერხების, რომლებმაც საშუალება მისცეს ჩვენს პარტიას დაეძლია და სასტიკად დაემარცხებინა ეს დაჯგუფებანი. საჭიროა, რომ პარტიის წევრები იცნობდნენ არამარტო იმას, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია კადეტებს, ესერებს, მენშევიკებს, ანარქისტებს, არამედ იმასაც, თუ როგორ ებრძოდა და სძლევდა პარტია ტროცკისტებს, „დემოკრატიულ ცენტრალისტებს", „მუშათა ოპოზიციას", ზინოვიეველებს, მემარჯვენე უკლონისტებს, მემარჯვენე - მემარცხენო მახინჯებს და ა. შ. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენი პარტიის ისტორიის ცოდნა და გაგება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რაც საჭიროა იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ მთლიანად პარტიის წევრთა რევოლუციური სიფხიზლე".

ამ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული რიგების წმენდას მიტმასნილი და უცხო ელემენტებისაგან, რაც 1933 წელს დაიწყო, განსაკუთრებით კი—პარტიული დოკუმენტების გულმოდგინე შემოწმებას და ძველი პარტიული დოკუმენტების გამოცვლას ახლებზე, რაც ს. მ. კიროვის ავაზაკური მკვლელობის შემდეგ დაიწყო.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამდე ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში გამეფებული იყო თვითნებობა და დაუდევრობა პარტიული ბილეთებისადმი დამოკიდებულებაში. მთელ რიგ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში გამოაშკარავებულ იქნა სრულიად შეუწყნარებელი **ქაოსი კომუნისტთა აღრიცხვაში**, რითაც ისარგებლეს მტრებმა თავისი საზიზღარი მიზნებისათვის, გამოიყენეს რა პარტბილეთები, როგორც შირმა, შპიონაჟისათვის, მავნებლობისათვის და ა. შ. პარტიაში მიღების და პარტბილეთების გაცემის საქმე პარტიული ორგანიზაციების ბევრმა ხელმძღვანელმა მიანდო მესამეხარისხოვან პირებს, ხოლო ხშირად—პარტიის სრულიად შეუმოწმებელ წევრებს.

1935 წლის 13 მაისის სპეციალურ წერილში ყველა ორგანიზაციისადმი პარტბილეთების აღრიცხვის, გაცემისა და შენახვის შესახებ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მოგვცა გაგვეტარებინა ყველა ორგანიზაციაში პარტიულ დოკუმენტთა გულმოდგინე შემოწმება, „დაგვემყარებინა ბოლშევიკური წესრიგი ჩვენს საკუთარ პარტიულ სახლში".

პარტდოკუმენტთა შემოწმებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1935 წლის 25 დეკემბრის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ეჟოვის მოხსენების გამო პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგების შესახებ ნათქვამი იყო, რომ ეს შემოწმება გადაიქცა უდიდესი მნიშვნელობის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებად საკ. კ. პ. (ბ) რიგების განმტკიცებისათვის.

პარტდოკუმენტთა შემოწმების და გამოცვლის ჩატარების შემდეგ განახლებულ იქნა პარტიაში მიღება. ამასთან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა, რომ პარტია შეევსო არა ხელაღებით, არამედ „ჩვენი ქვეყნის ნამდვილად მოწინავე, მუშათა კლასის საქმის ნამდვილად ერთგული, უწინარეს ყოვლისა მუშებისაგან, აგრეთვე გლეხებისაგან და მშრომელი ინტელიგენციისაგან გამოსული, სოციალიზმისათვის ბრძოლის სხვადასხვა უბნებზე შემოწმებული საუკეთესო ადამიანების" მკაცრი ინდივიდუალური მიღების საფუძველზე.

ანახლებდა რა პარტიაში ახალ წევრთა მიღებას, ცენტრალური კომიტეტი ავალებდა პარტიულ ორგანიზაციებს ახსოვდეთ, რომ მტრული ელემენტები მომავალშიაც შეეცდებიან გაძვრნენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ამის გამო:

„თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ, ბოლშევიკური სიფხიზლის ყოველმხრივ გაძლიერებასთან ერთად, მაღლა ეჭიროს ლენინის პარტიის დროშა და უზრუნველჰყოს პარტია უცხო, მტრული და შემთხვევითი ელემენტების გაძვრომისაგან მის რიგებში" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 29 სექტემბრის დადგენილება. „პრავდა", № 270, 1936 წ.).

სწმენდდა რა თავის რიგებს და განამტკიცებდა რა მათ, სპობდა რა პარტიის მტრებს და დაუნდობლად იბრძოდა რა პარტიის ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომლის ხელმძღვანელობითაც პარტია და საბჭოების ქვეყანა გადადიოდნენ ახალ ეტაპზე — უკლასო, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებაზე.

მოკლე დასკვნები

1930-1934 წლებში ბოლშევიკების პარტიამ გადასჭრა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარული რევოლუციის უძნელესი ისტორიული ამოცანა — წვრილმესაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლმეურნეობების გზაზე, სოციალიზმის გზაზე.

კულაკობის, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლუატატორული კლასის, ლიკვიდაციამ და გლეხთა ძირითადი მასების გადაყვანამ კოლმეურნეობათა გზაზე გამოიწვია კაპიტალიზმის უკანასკნელი ფესვების მოსპობა ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვების დამთავრება სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოდ განმტკიცება სოფლად.

გადალახეს რა ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი სიძნელეები, კოლმეურნეობები საბოლოოდ განმტკიცდნენ და დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად ჩვენს ქვეყანაში აშენებულია სოციალისტური ეკონომიკის ურყევი საძირკველი — პირველხარისხოვანი მძიმე სოციალისტური ინდუსტრია და კოლექტიური მანქანიზებული მიწათმოქმედება, მოსპობილია უმუშევრობა, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, შექმნილია პირობები ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, კოლმეურნეებმა და ყველა მშრომელმა ამ გიგანტურ წარმატებებს მიაღწიეს პარტიისა და მთავრობის გაბედული, რევოლუციური და ბრძნული პოლიტიკის მეოხებით.

კაპიტალისტური გარემოცვა, ცდილობს რა სსრ კავშირის დასუსტებას და მისი ძლიერებისათვის ძირის გამოთხრას, აძლიერებს თავის „მუშაობას", რათა მოაწყოს სსრ კავშირის შიგნით მკვლელთა, მავნებელთა, ჯაშუშთა ბანდები. კაპიტალისტური გარემოცვის მტრული საქმიანობა სსრ კავშირის მიმართ განსაკუთრებით ძლიერდება მას შემდეგ, რაც გერმანიაში, იაპონიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ფაშისტები. ტროცკისტების, ზინოვიეველების სახით ფაშიზმმა შეიძინა ერთგული მსახურნი, რომლებიც თანხმდებიან შპიონაჟზე, მავნებლობაზე, ტერორსა და დივერსიებზე, სსრ კავშირის დამარცხებაზე — კაპიტალიზმის აღდგენისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე ხელით სჯის ადამიანთა მოდგმის ამ გადაგვარებულებს და შეუბრალებლად უსწორდება მათ, როგორც ხალხის მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს.

თავი XII

ბოლშევიკების პარტია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლაში და ახალი კონსტიტუციის გატარება.

(1935—1937 წლები)

1. საერთაშორისო ვითარება 1935-1937 წლებში. ეკონომიური კრიზისის დროებითი შენელება. ახალი ეკონომიური კრიზისის დასაწყისი. იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა. გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში. იაპონიის შეჭრა ცენტრალურ ჩინეთში. მეორე იმპერიალისტური ომის დასაწყისი.

ეკონომიური კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, გრძელდებოდა 1933 წლის დამლევამდე. ამის შემდეგ მრეწველობის დაცემა შესწყდა, კრიზისი მდგომარეობაში გადავიდა და მერე დაიწყო მრეწველობის ერთგვარი გამოცოცხლება, მისი ერთგვარი აღმავლობა. მაგრამ ეს აღმავლობა არ იყო ის აღმავლობა, რომლის შემდეგაც იწყება მრეწველობის აყვავება ახალ, უფრო მაღალ, ბაზაზე. მსოფლიო კაპიტალისტური მრეწველობა 1929 წლის დონემდეც კი ვერ ავიდა, მან 1937 წლის შუახანებისათვის ამ დონის მხოლოდ 95-96 პროცენტს მიაღწია. 1937 წლის მეორე ნახევარში კი დაიწყო უკვე ახალი ეკონომიური კრიზისი, რომელიც მოედო, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს. 1937 წლის დამლევისათვის უმუშევართა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ავიდა 10 მილიონ კაცამდე. სწრაფად იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი ინგლისში.

ამრიგად, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვერცკი მოასწრეს წელში გამართულიყვნენ ცოტა ხნის წინანდელი ეკონომიური კრიზისის დარტყმებისაგან, რომ ისინი ახალი ეკონომიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამ გარემოებას მოჰყვა ის, რომ წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, ისევე როგორც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის — კიდევ უფრო გაძლიერდა. ამასთან დაკავშირებით აგრესიული სახელმწიფოების ცდები, რომ აენაზღაურებინათ ეკონომიური კრიზისით ქვეყნის შიგნით გამოწვეული დანაკლისი სხვა, სუსტად დაცული, ქვეყნების ხარჯზე,— სულ უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა. ამასთან ორ ცნობილ აგრესიულ სახელმწიფოს, გერმანიასა და იაპონიას, ამჯერად შეუერთდა მესამე სახელმწიფო—იტალია.

1935 წელს ფაშისტური იტალია თავს დაესხა აბისინიას და დაიპყრო იგი. [illegible] ეს ახლა ფაშისტებს მოდად აქვთ მიღებული. ეს იყო დარტყმა არა მარტო აბისინიის წინააღმდეგ. დარტყმა მიმართული იყო აგრეთვე ინგლისის წინააღმდეგ, ინგლისის იმ საზღვაო გზების წინააღმდეგ, რომლებიც ევროპიდან მიდის ინდოეთში, აზიაში. ინგლისის ცდებს, რომ ხელი შეეშალათ იტალიის დამკვიდრებისათვის აბისინიაში, შედეგები არ მოჰყვა. იტალია, რათა ხელფეხი გაეხსნა, შემდეგ გამოვიდა ერთა ლიგიდან და ხელი მიჰყო გაძლიერებით შეიარაღებას.

ამრიგად, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალ უმოკლეს საზღვაო გზებზე ომის ახალი კვანძი შეიკრა.

ფაშისტურმა გერმანიამ ცალმხრივი აქტით გააუქმა ვერსალის საზავო ხელშეკრულება და განსახორციელებლად დაისახა ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების **ძალდატანებითი** გადასინჯვის გეგმა. გერმანელი ფაშისტები არ მალავდნენ, რომ ისინი ცდილობენ დაიმორჩილონ მეზობელი სახელმწიფოები ან, ყოველ შემთხვევაში, ხელთ იგდონ ამ სახელმწიფოთა ის ტერიტორიები, რომლებიც გერმანელებით არიან დასახლებული. ეს გეგმა გულისხმობს: ჯერ ავსტრიის დაპყრობას, შემდეგ თავდასხმას ჩეხოსლოვაკიაზე, შემდეგ, ალბათ, — პოლონეთზე, სადაც აგრეთვე მოიპოვება გერმანელებით დასახლებული მთლიანი ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება გერმანიას, შემდეგ კი... შემდეგ „ვნახოთო".

1936 წლის ზაფხულში დაიწყო გერმანიისა და იტალიის სამხედრო ინტერვენცია ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ესპანელი ფაშის- [illegible] ლეისა და გიბრალტარის რაიონებში სამხრეთით, ატლანტის ოკეანის რაიონებში დასავლეთით, ბისკაის ყურის რაიონებში ჩრდილოეთით. 1938 წლის დამდეგს გერმანელმა ფაშისტებმა ხელთ ჩაიგდეს ავსტრია, ამგვარად ფეხი მოიკიდეს დუნაის შუაწელში და გაიწიეს სამხრეთ ევროპისაკენ, უფრო ახლოს ადრიატიკის ზღვისაკენ.

ანვითარებდნენ რა ინტერვენციას ესპანეთის წინააღმდეგ, გერმანია-იტალიის ფაშისტები არწმუნებდნენ ყველას, ჩვენ ბრძოლას ესპანეთში მხოლოდ „წითლებთან" ვაწარმოებთ და არავითარ სხვა მიზნებს არ ვისახავთო. მაგრამ ეს იყო ტლანქი და უჭკუო შენიღბვა, რომელიც გულუბრყვილო ადამიანთა სისულელეზე იყო ნავარაუდევი. ნამდვილად კი ისინი ლახვარს სცემდნენ ინგლისსა და საფრანგეთს, ვინაიდან ისინი იპყრობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის საზღვაო გზებს, რომლებიც ამ ქვეყნებს მათს აფრიკისა და აზიის უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელოებთან აკავშირებენ.

რაც შეეხება ავსტრიის დაპყრობას, იგი უკვე ვერავითარი გზით ვერ მოთავსდებოდა ვერსალის ხელშეკრულებასთან ბრძოლის ჩარჩოებში, გერმანიის, „ნაციონალური" ინტერესების დაცვის ჩარჩოებში, გერმანიისა, რომელიც ცდილობს დაიბრუნოს პირველ იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით დაკარგული ტერიტორიები. ავსტრია არც ომამდე, არც მის შემდეგ გერმანიის შემადგენლობაში არ შედიოდა. ავსტრიის ძალდატანებით შეერთება გერმანიასთან ნიშნავს სხვისი ტერიტორიის უხეშ იმპერიალისტურ დაპყრობას. ეს შეერთება, უეჭველია, ააშკარავებს ფაშისტური გერმანიის მისწრაფებას — დაიკავოს ბატონებული მდგომარეობა დასავლეთ ევროპის კონტინენტზე.

ეს იყო ლახვარის ჩაცემა, უწინა- [illegible] ინგლისის ინტერესებისათვის.

ამრიგად, სამხრეთ ევროპაში, ავსტრიისა და ადრიატიკის რაიონში, ისევე როგორც ევროპის განაპირა დასავლეთში, ესპანეთის რაიონში და მისი მოსაზღვრე მდინარე წყლების რაიონში ომის ახალი კვანძები გაინასკვა.

1937 წელს იაპონიის ფაშისტურმა სამხედრო ხროვამ ხელთ იგდო პეკინი, შეიჭრა ცენტრალურ ჩინეთში და მოახდინა შანხაის ოკუპირება. ცენტრალურ ჩინეთში იაპონიის ჯარების შეჭრა, ისევე როგორც რამდენიმე წლის წინათ მანჯურიაში შეჭრა, მოხდა იაპონური წესით, ესე-იგი ქურდულად, თვით იაპონელთა მიერ შექმნილი სხვადასხვა „ადგილობრივი ინციდენტების" თაღლითურად გამოყენების გზით, ყველა და ყოველგვარი „საერთაშორისო ნორმების", ხელშეკრულებების, შეთანხმებების და სხვათა ფაქტიურად დარღვევის გზით. ტიანძინისა და შანხაის დაპყრობამ იაპონიას ხელთ მისცა თვალუწვდენი ბაზრის მქონე ჩინეთთან ვაჭრობის გასაღები. ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონიას, ვიდრე მას ხელთ უპყრია შანხაი და ტიანძინი, ყოველ დროს შეუძლია განდევნოს ცენტრალური ჩინეთიდან ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც იქ თავისი კოლოსალური დაბანდებანი აქვთ.

რა თქმა უნდა, ჩინელი ხალხის და მისი არმიის გმირული ბრძოლა იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, უდიდესი ნაციონალური აღტყინება ჩინეთში, ადამიანთა და ტერიტო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

---

*) თავი XI. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 226.

გაგრძელება

რის კოლოსალური რეზერვები ჩინეთში, ჩინეთის ნაციონალური მთავრობის მზადყოფნა — ბოლომდე ჩინეთის საზღვრებიდან დამპყრობელთა სრულ განდევნამდე მიიყვანოს ჩინეთის განმანთავისუფლებელი ბრძოლა,—ყოველივე ეს უცილობლად მოწმობს, რომ იაპონელ იმპერიალისტებს ჩინეთში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ მომავალი.

მაგრამ მართალია ისიც, რომ იაპონიას ჯერჯერობით ხელთ უპყრია ჩინეთთან ვაჭრობის გასაღები, და მისი ომი ჩინეთის წინააღმდეგ არსებითად არის მეტად ძლიერი დარტყმა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისათვის.

ამრიგად, დიდ ოკეანეზე, ჩინეთის რაიონში, გაინასკვა ომის კიდევ ერთი კვანძი.

ყველა ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მეორე იმპერიალისტური ომი ნამდვილად უკვე დაიწყო. იგი დაიწყო ჩუმ-ჩუმად, ომის გამოუცხადებლად. სახელმწიფოები და ხალხები როგორღაც შეუმჩნევლად შეცოცდნენ მეორე იმპერიალისტური ომის ორბიტში. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ომი დაიწყო სამმა აგრესიულმა სახელმწიფომ, — გერმანიის, იტალიის, იაპონიის ფაშისტურმა მმართველმა წრეებმა. ომი სწარმოებს უზარმაზარ სივრცეზე, გიბრალტარიდან ვიდრე შანხაიმდე. ომმა თავის ორბიტში უკვე ჩააბა ნახევარმილიარდზე მეტი მოსახლეობა. იგი საბოლოო ანგარიშით სწარმოებს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური ინტერესების წინააღმდეგ, რადგან მიზნად ისახავს მსოფლიოს და გავლენის სფეროების ხელახალ დაყოფას აგრესიული ქვეყნების სასარგებლოდ და ამ ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების ხარჯზე.

მეორე იმპერიალისტური ომის განმასხვავებელი თავისებურება ჯერჯერობით ის არის, რომ მას აწარმოებენ და აჩაღებენ აგრესიული სახელმწიფოები, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოები, „დემოკრატიული" სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგაც არსებითად მიმართულია ომი, თავს ისე მოგვაჩვენებენ, თითქოს ომი მათ არ ეხებოდეს, ხელებს იბანენ, უკან იხევენ, ქებას ასხამენ თავის მშვიდობისმოყვარეობას, აგინებენ ფაშისტ აგრესორებს და... თავის პოზიციებს თანდათანობით უთმობენ აგრესორებს, ირწმუნებიან რა ამასთან, ჩვენ წინააღმდეგობის გასაწევად ვემზადებითო.

ამ ომს, როგორც ვხედავთ, საკმაოდ უცნაური და ცალმხრივი ხასიათი აქვს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას იყოს სასტიკი და ტლანქად დამპყრობელური ომი, რომელიც სწარმოებს აბისინიის, ესპანეთის, ჩინეთის ნაკლებად დაცული ხალხების ზურგზე. სწორი არ იქნებოდა, რომ ომის ასეთი ცალმხრივი ხასიათი „დემოკრატიული" სახელმწიფოების სამხედრო ან ეკონომიური სისუსტით აგვეხსნა. რა თქმა უნდა, „დემოკრატიული" სახელმწიფოები ფაშისტურ სახელმწიფოებზე უფრო ძლიერნი არიან. გაჩაღებული მსოფლიო ომის ცალმხრივი ხასიათი იმით აიხსნება, რომ არ არსებობს „დემოკრატიული" სახელმწიფოების ერთიანი ფრონტი ფაშისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ეგრეთწოდებული „დემოკრატიული" სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, არ იწონებენ ფაშისტურ სახელმწიფოთა „უკიდურესობებს" და ეშინიათ ამ სახელმწიფოთა გაძლიერებისა. მაგრამ მათ კიდევ უფრო მეტად ეშინიათ მუშათა მოძრაობისა ევროპაში და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა აზიაში, და ჰფიქრობენ, რომ ფაშიზმი წარმოადგენს „კარგ საწინააღმდეგო საშუალებას" ყველა ამ „საშიშ" მოძრაობათა წინააღმდეგ. ამიტომ „დემოკრატიული" სახელმწიფოების მმართველი წრეები, განსაკუთრებით კი,—ინგლისის მმართველი კონსერვატიული წრეები სჯერდებიან თავზეხელაღებულ ფაშისტ მმართველთა შეგონების პოლიტიკას — „საქმეს უკიდურესობამდე ნუ მიიყვანთო", და ამავე დროს მათ აგრძნობინებენ, ჩვენ „სავსებით გვესმის" და ძირითადად თანავუგრძნობთ თქვენს რეაქციულ-პოლიციურ პოლიტიკას მუშათა და ნაციონალ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგო. ინგლისის მმართველი წრეები აქ დაახლოებით ისეთსავე პოლიტიკას ადგანან, როგორსაც ცარიზმის დროს ადგნენ რუსი ლიბერალ-მონარქისტი ბურჟუები, რომელთაც, ეშინოდათ რა მეფის პოლიტიკის „უკიდურესობებისა", კიდევ უფრო მეტად ეშინოდათ ხალხისა და რომელნიც ამის გამო გადავიდნენ მეფის შეგონების პოლიტიკაზე,—მაშასადამე, ხალხის წინააღმდეგ მეფესთან **შეთანხმების** პოლიტიკაზე.

როგორც ცნობილია, რუსეთის ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზია სასტიკად დაისაჯა ასეთი ორმაგი პოლიტიკისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მმართველ წრეებსა და საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ მათს მეგობრებს აგრეთვე მიეზღვევათ თავისი ისტორიული მსჯავრი.

ცხადია, რომ სსრ კავშირს, ხედავდა რა საერთაშორისო საქმეების ასეთ მობრუნებას, არ შეეძლო გვერდი აევლო ამ მრისხანე ამბებისათვის. ყოველი, პატარა ომიც კი, დაწყებული აგრესორების მიერ, საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისათვის, ხოლო მეორე იმპერიალისტური ომი, რომელიც ასე „შეუმჩნევლად" მიეპარა ხალხებს და რომელმაც ნახევარმილიარდზე მეტი მოსახლეობა მოიცვა,—მით უფრო არ შეიძლება არ წარმოადგენდეს უაღრესად სერიოზულ საფრთხეს ყველა ხალხისათვის და, პირველ რიგში, სსრ კავშირისათვის. ამას მჭერმეტყველურად მოწმობს „ანტიკომუნისტური ბლოკის" შექმნა გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის. ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ, ატარებს რა თავის სამშვიდობო პოლიტიკას, ამასთან ერთად გაშალა ჩვენი საზღვრების თავდაცვისუნარიანობის და წითელი არმიისა და წითელი ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი გაძლიერება. 1934 წლის დამლევს სსრ კავშირი შევიდა ერთა ლიგაში, იცოდა რა, რომ, მიუხედავად ერთა ლიგის სისუსტისა, იგი მაინც შეიძლება ყოფილიყო აგრესორების მხილების ადგილი და მშვიდობიანობის ერთგვარი, თუმცა სუსტი, ინსტრუმენტი, რომელიც შეაფერხებდა ომის გაჩაღებას. სსრ კავშირი სთვლიდა, რომ ასეთ დროს არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ისეთი სუსტი საერთაშორისო ორგანიზაციაც კი, როგორიცაა ერთა ლიგა. 1935 წლის მაისში საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება აგრესორების შესაძლო თავდასხმის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ. ამავე დროს ასეთივე ხელშეკრულება დადებულ იქნა ჩეხოსლოვაკიასთან. 1936 წლის მარტში სსრ კავშირმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან დასდო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. 1937 წლის აგვისტოში ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადებულ იქნა სსრ კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის.

2. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ალმავლობა სსრ კავშირში. მეორე ხუთწლედის ვადამდე შესრულება. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია და კოლექტივიზაციის დამთავრება. კადრების მნიშვნელობა. სტახანოვური მოძრაობა. ხალხის კეთილდღეობის ალმავლობა. ხალხის კულტურის ალმავლობა. საბჭოთა რევოლუციის ძალა.

მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში 1930-1933 წლების ეკონომიური კრიზისის სამი წლის შემდეგ ახალი ეკონომიური კრიზისი დაიწყო, სსრ კავშირში **მთელი ამ პერიოდის განმავლობაში** განუხრელად გრძელდებოდა მრეწველობის ალმავლობა. თუ მსოფლიო კაპიტალისტურმა მრეწველობამ მთლიანად 1937 წლის შუახანებისათვის ძლივსღა მიაღწია 1929 წლის დონის 95-96 პროცენტს იმისათვის, რომ 1937 წლის მეორე ნახევარში ახალი ეკონომიური კრიზისის ხანაში შესულიყო,—სსრ კავშირის მრეწველობამ თავის სულ უფროდაუფრო მზარდ ალმავლობაში 1937 წლის დამლევისათვის მიაღწია 1929 წლის დონის 428 პროცენტს, ხოლო ომამდელ დონესთან შედარებით 7-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ეს წარმატებანი პირდაპირი შედეგი იყო რეკონსტრუქციის პოლიტიკისა, რომელსაც პარტია და მთავრობა მთელი შეუპოვრობით ატარებდნენ.

ამ წარმატებათა შედეგად მეორე ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის ხაზით ვადაზე ადრე იქნა შესრულებული. მეორე ხუთწლედი შესრულებულ იქნა 1937 წლის 1 აპრილისათვის, ესე-იგი 4 წლისა და 3 თვის განმავლობაში.

ეს იყო სოციალიზმის უდიდესი გამარჯვება.

ალმავლობის თითქმის ასეთსავე სურათს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. ყველა კულტურის ნათესი ფართობი 1913 წლის (ომამდელი დრო) 105 მილიონი ჰექტარიდან გაიზარდა 135 მილიონ ჰექტარამდე 1937 წელში. მარცვლეულის წარმოება 1913 წლის 4 მილიარდ 800 მილიონი ფუთიდან გაიზარდა 6 მილიარდ 800 მილიონ ფუთამდე 1937 წელში, ნედლი ბამბის წარმოება 44 მილიონი ფუთიდან — 154 მილიონ ფუთამდე, სელის (ბოჭკო) წარმოება 19 მილიონი ფუთიდან—31 მილიონ ფუთამდე, ჭარხლის წარმოება 654 მილიონი ფუთიდან — 1 მილიარდ 311 მილიონ ფუთამდე, ზეთოვანი კულტურების წარმოება 129 მილიონი ფუთიდან — 306 მილიონ ფუთამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მარტო კოლმეურნეობებმა (საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით) 1937 წელში ქვეყანას მისცეს 1 მილიარდ 700 მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური, ესე იგი მინიმუმ 400 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე ერთად აღებულმა მემამულეებმა, კულაკებმა და გლეხებმა 1913 წელში.

სოფლის მეურნეობის მხოლოდ ერთი დარგი—მეცხოველეობა—ჯერ ისევ ჩამორჩებოდა ომამდელ დონეს და კვლავ შენელებული ტემპით მიდიოდა წინ.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, იგი უკვე დამთავრებულად შეგვეძლო ჩაგვეთვალა. კოლმეურნეობებში 1937 წელს იმყოფებოდა 18-ნახევარი მილიონი კომლი, რაც შეადგენდა ყველა გლეხური კომლის 93 პროცენტს, ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი მარცვლეულის დარგში შეადგენდა მარცვლეულის ყველა გლეხური ნათესი ფართობის 99 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მისი გაძლიერებული მომარაგების ნაყოფი თვალწინ იყო.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებას მოჰყვა ის, რომ სახალხო მეურნეობა უხვად აღმოჩნდა მომარაგებული პირველხარისხოვანი ტექნიკით. მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ, ტრანსპორტმა და არმიამ უდიდესი რაოდენობით მიიღეს ახალი ტექნიკა, ახალი მანქანები და დაზგები, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ორთქლმავლები და გემები, არტილერია და ტანკები, თვითმფრინავები და სამხედრო-საზღვაო ხომალდები. საჭირო იყო აგვემუშავებინა ათეული და ასეული ათასობით გაწვრთნილი კადრები, რომლებიც შესძლებდნენ დაემორჩილებინათ მთელი ტექნიკა და გამოეწურათ მისგან იმის მაქსიმუმი, რის გამოწურაც კი მისგან შეიძლებოდა. უიმისოდ, თუ საკმაო რაოდენობით არ გვეყოლებოდა ადამიანები, რომლებიც ტექნიკას დაუფლებიან, ტექნიკა შეიძლებოდა გადაქცეულიყო გამოუყენებლად დარჩენილ მკვდარ ლითონის გროვად. ეს იყო სერიოზული საფრთხე, რომელიც გაჩნდა იმის გამო, რომ კადრების ზრდა, რომლებიც შესძლებდნენ ტექნიკის დაუფლებას, **მხარდამხარ ვერ მისდევდა და დიდად ჩამორჩებოდა** ტექნიკის ზრდას. საქმეს ართულებდა ის, რომ ჩვენი მუშაკების საგრძნობ ნაწილს შეგნებული არ ჰქონდა ეს საფრთხე და მიაჩნდა, ტექნიკა თავის საქმეს „თვითონ გააკეთებსო". თუ წინათ ტექნიკას არასათანადოთ აფასებდნენ და მას ათვალისწუნებულად ეკიდებოდნენ, ახლა იწყეს მისი ზედმეტად დაფასება, გადააქციეს იგი ფეტიშად. არ ესმოდათ, რომ ტექნიკა უადამიანებოდ, რომლებიც ტექნიკას დაუფლებიან,—მკვდარია, არ ესმოდათ, რომ ტექნიკას მაღალი ნაყოფიერების მოცემა მხოლოდ ისეთი ადამიანების საშუალებით შეუძლია, რომლებიც ტექნიკას დაუფლებიან.

ამრიგად, ტექნიკას დაუფლებული კადრების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საჭირო იყო ჩვენი მუშაკების ყურადღება მოგვებრუნებინა ტექნიკით მეტის-მეტი გატაცებიდან, კადრების მნიშვნელობის შეუფასებლობიდან,—ტექნიკის ათვისებისაკენ, ტექნიკის დაუფლებისაკენ, ისეთი მრავალრიცხოვანი კადრების გამოსაზრდელად მუშაობის ყოველნაირად გაძლიერებისაკენ, რომლებსაც შეეძლებოდათ დაემორჩილებინათ ტექნიკა და გამოეწურათ მისგან მაქსიმუმი ეფექტი.

თუ წინათ, რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში, როცა ქვეყანაში იგრძნობოდა შიმშილი ტექნიკის დარგში, პარტიამ მოგვცა ლოზუნგი—„ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში სწყვეტს ყველაფერს", ახლა, ტექნიკის სიუხვის დროს, რეკონსტრუქციის პერიოდის ძირითადად დამთავრების შემდეგ, როცა ქვეყანაში კადრების მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა, — პარტიას უნდა მოეცა ახალი ლოზუნგი, რომელიც გაამახვილებდა ყურადღებას უკვე არა ტექნიკაზე, არამედ ადამიანებზე, კადრებზე, რომლებიც შესძლებდნენ ტექნიკის მთლიანად გამოყენებას.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხ. სტალინის გამოსვლას წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე, 1935 წლის მაისში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იტალია-აბისინიის ომის სამი წელი

1935 წლის 3 ოქტომბერს ფაშისტური იტალიის ჯარებმა გადალახეს აბისინიის ჩრდილოეთი საზღვარი და დაიწყეს ომი აბისინელი ხალხის წინააღმდეგ.

ამ დანაშაულებრივ ომს იტალიის ფაშიზმი ამზადებდა დიდი ხნით ადრე 1935 წლის შემოდგომამდე. ოქტომბრისათვის აბისინიის მისასვლელებთან უკვე თავმოყრილი იყო 300-ათასიანი არმია.

ხოცვა-ჟლეტამ აბისინიაში შვიდ თვეს გასტანა. აბისინიის არმიამ, რომელიც გმირულად იბრძოდა, მრავალი საგრძნობი დამარცხება განაცდევინა ფაშისტ დამპყრობლებს. მიუხედავად თავისი ჩამორჩენილობისა სამხედრო - ტექნიკურ დარგში, აბისინელი ხალხი უბრძოლველად როდი დანებებია დამპყრობთ. გაცოფებული ფაშისტი მტაცებელნი იძულებული გახდნენ ხმელთაშუა ზღვით სულ ახალ-ახალი ჯარები ეგზავნათ. 1936 წლის გაზაფხულისათვის აბისინიის ფრონტებზე უკვე 23 დივიზია — დაახლოვებით ერთი მილიონი კაცი ითვლებოდა, აქედან 40 ათასი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი. აბისინიასთან ომისთვის საჭირო გახდა 450 ათასი შაშხანა და კარაბინი, 800 ქვემეხი, 300 ტანკი, 400 თვითმფრინავი, 13,5 ათასი საბარგო მანქანა, 80 ათასი სასაპალნე ცხოველი და 1800 რადიოსადგური. აღმოსავლეთ-აფრიკაში გადატანილი იქნა 2,5 მილიონი ტონა ტვირთი, რასაც დასჭირდა 7,5 ათასი მატარებელი, 55 ათასი ვაგონით და გემთა 460 საზღვაო რეისი.

ფაშისტთა ურდოები თავიანთ გზაზე სტოვებდნენ ფერფლსა და ნანგრევებს და აბისინელი მებრძოლების, მათი ცოლ-შვილისა და დედების დასახიჩრებულ სხეულებს. იპრიტით გაჟღენთილი ყუმბარები სწამლავდნენ და ხოცავდნენ ყოველ სულდგმულს, რასაც კი სისხლმოწყურებული დამპყრობნი შეეყრებოდნენ.

1936 წლის 5 მაისს, იტალიელი ჯარები შევიდნენ ადის-აბებაში. მთელი ქალაქი გაძარცვეს, მისი ცენტრი კი დასწვეს. რამდენიმე დღით ადრე აბისინიის ნეგუსმა და მის მხედართმთავართა უმეტესობამ დასტოვეს აბისინიის საზღვრები და უარი სთქვეს ომის განგრძობაზე. ამასთან დაკავშირებით, იტალიის „გაძეტა დელ პოპოლო" სწერდა:

ომი დამთავრებულია, შეიძლება კიდევ გვექნეს ოპერაციები ნასიბუს არმიის ნაშთებისა და სხვათა წინააღმდეგობის ჩასახშობად, მაგრამ ომი დამთავრებულია აბისინიის დამარცხებით. ამ ფაქტიდან ევროპის ყველა სახელმწიფომ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს. შეუძლებელია ომის განახლება აბისინიაში, მაგრამ სამაგიეროდ შესაძლებელია ომის გადმოტანა აფრიკიდან ევროპაში".

თუ თავიანთი „პროგნოზის" პირველ ნაწილში ფაშისტი ავაზაკები სასტიკად შესცდნენ, — დაუმორჩილებელი აბისინია დღემდე განაგრძობს თავის გმირულ ბრძოლას, — სამაგიეროდ მეორე ნაწილში მათ საკმაოდ გულახდილად წამოროშეს თავიანთი სურვილები. სამი თვის შემდეგ ფაშისტურმა იტალიამ და ფაშისტურმა გერმანიამ ერთად დაიწყეს ინტერვენცია ესპანეთში.

ახლა, როდესაც იტალიის ფაშიზმი თარეშობს ბალეარის კუნძულებზე, ხოლო ხმელთაშუა ზღვაში ერთი მეორეზე ჩნდება იტალიის სამხედრო ბაზები, როდესაც იტალია ინტრიგებს ხლართავს პალესტინასა და არაბთა სახელმწიფოებში,—ახლა განსაკუთრებით ნათელი ხდება, რომ მუსოლინის ავანტიურა აბისინიაში მხოლოდ დასაწყისი იყო იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა იტალიის ბატონობის განმტკიცებისათვის ხმელთაშუა ზღვაში, აფრიკის კოლონიებთან იტალიის მისასვლელების გამაგრებისათვის.

აბისინიის ომი მხოლოდ პრელუდია იყო „დიდი ომისა", რომელიც ამჟამად გაჩაღებული აქვთ ჰიტლერსა და მუსოლინის ესპანეთის ველებზე. ხმელთაშუა ზღვა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკა—აი იტალიის იმპერიალიზმის დაპყრობითი პროგრამა.

ინგლისს ყოველგვარი შესაძლებლობანი ჰქონდა, რათა ხელი შეეშალა აბისინიაში იტალიის შეჭრისათვის. მაგრამ ინგლისელი იმპერიალისტები წავიდნენ მუსოლინისთან მორიგებაზე, და იგიც სრულიად დარწმუნებული მოქმედებდა, რომ ინგლისი არ შეუშლიდა ხელს ამ მძარცველურ ომში.

ინგლისის იმპერიალიზმს არ უნდოდა აბისინიის ხალხის გამარჯვება. ეს გამარჯვება შეიძლებოდა „საშიში მაგალითი" ყოფილიყო ბრიტანეთის კოლონიებისათვის აფრიკის კონტინენტზე: უგანდის, კენიას, ჩრდილო და სამხრეთ როდეზიისთვის და სხვ.

ინგლისის მთავრობა ამჟამადაც განაგრძობს აგრესორებთან შეთანხმების ამ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა თავის ნაყოფს იძლევა: აგრესორები დღითიდღე უფრო თავხედდებიან.

რა მოუტანა აბისინიასთან ომმა იტალიელ ხალხს? ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, უმუშევრობის ზრდა, მოხმარების დონის შემცირება, პირველი მოთხოვნილების საგნების ფასის ზრდა.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1936 წლის მაისისათვის იტალიას აბისინიის ავანტიურაზე დახარჯული ჰქონდა 750 მილიონი დოლარი. ამ ხარჯების დასაფარავად 1936 და 1937 წლებში გადიდებულ იქნა გადასახადები. 1938 წელს ეს გადასახადები კვლავ გადიდებულ იქნა. აბისინელი ხალხის დასამორჩილებლად აბისინიაში ინახავენ 200-ათასიან არმიას, რამაც იმ უდიდეს ხარჯებთან ერთად, ესპანეთის ომს რომ ხმარდება, გაანადგურა ხაზინა და აუტანელი სიძნელეები გაუჩინა იტალიელ ხალხს. მუსოლინის ყაჩაღური პოლიტიკის სამმა წელმა 41 მილიარდზე მეტი ლირა შთანთქა სახელმწიფოს ჩვეულებრივი ბიუჯეტის გადამეტებით. იტალიის ოქროს მარაგი თითქმის ამოწურულია. იტალია განიცდის ქვანახშირის, რკინის, ბამბისა და სხვ. უდიდეს ნაკლებობას. ყოველივე ეს ორკეცდება კატასტროფული მოუსავლობით, რის გამო იტალიას წელს დასჭირდება სულ მცირე 30 მილიონი კვინტალი პურის შეზიდვა.

აბისინია არ არის დამორჩილებული. აბისინელი ხალხის წინააღმდეგობა ფაშისტ დამპყრობთა მიმართ გრძელდება. ქვეყანას, რომელიც ტერიტორიით ერთად აღებულ იტალიასა და საფრანგეთს უდრის, სადაც 13-15 მილიონი მცხოვრები ითვლება „კონტროლს უწევენ" იტალიის ჯარის რაზმები, რომლებიც გაფანტული არიან მცირერიცხოვან მთიან გზებსა და ბილიკებზე.

იტალიელთა სამფლობელოს წარმოადგენს ვიწრო ზოლი გზების გასწვრივ. ყოველივე ის, რაც ამ ზოლს იქით არის — ხოლო ეს ტერიტორია აბისინიის დაახლოვებით 3/5 შეადგენს—ფაქტიურად არ ემორჩილება იტალიელებს.

აბისინიაში ფართოვდება პარტიზანული მოძრაობა. იტალიელთა ზარალი ცალკეულ ბრძოლებში 2-3 ათას კაცს აღწევს. ადგილობრივ მცხოვრებთაგან არმიის შექმნის ცდები ჩაიშალა. აბისინელები შედიან ამ არმიაში, რათა მიიღონ ტანსაცმელი და იარაღი, და შემდეგ გარბიან იქიდან თავიანთ პარტიზანულ რაზმებში. აღნიშნულია მრავალი შემთხვევა, როდესაც აბისინელი ჯარისკაცები აწყობენ აჯანყებებს და ხოცავენ იტალიელ ოფიცრებს. ამის შემდეგ ისინი მთელი ოცეულობით მიდიან პარტიზანებთან.

ნიუ-იორკის გაზეთი „სანდეი უორკერი" ამასწინათ იუწყებოდა თავისი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით, რომ იტალიელებს სანუგეშო რასმეს არც მომავალი შემოდგომა უქადის. სექტემბრიდან აბისინიაში იწყება კოკისპირული ტროპიკული წვიმების პერიოდი. გზები გაუვლელი ხდება. თვითმფრინავებს აღარ შეუძლიათ ჰაერში ასვლა. იტალიელთა გარნიზონებს განადგურება მოელის. დიდი ცენტრებიც კი განუწყვეტელი იერიშების საფრთხის წინაშე იქნებიან.

მაგრამ არც წვიმების დაწყებამდე შეწყვეტილა ბრძოლები. რკინიგზა, რომელიც ადის-აბებასა და ჯიბუტის (საფრანგეთის სომალი) აერთებს, პარტიზანების ხელშია. აბისინელი მეომრები იმალებიან მთებში ადის-აბების მახლობლად. აბისინელები წარმატებით ახერხებენ იტალიელთა თვითმფრინავების ჩამოგდებას, ანადგურებენ საწვავი მასალის საწყობებს. მრავალ ადგილას იტალიელებს აღარ დარჩათ საწვავი მასალა თვითმფრინავებისა და საბარგო მანქანებისათვის. იტალიელები მოკლებული იყვნენ იმის შესაძლებლობას, რომ ადის-აბებიდან გაეგზავნათ ჯარი აბისინელთა წინააღმდეგ, რომლებმაც იერიში მიიტანეს მოჯოსა და ხადამაზე.

ლონდონის გაზეთ „დეილი ჰერალდის" ცნობით, სამხრეთ-დასავლეთ აბისინიაში იბრძვის 50 ათასამდე აბისინელთა ჯარი, რომელსაც იტალია ვერ გაუმკლავდება. იტალიის ჯარის ერთეულებს, რომლებიც აბისინელთა დაჯგუფების ადგილებზე იგზავნებიან, სასტიკად ამარცხებენ. ოგადენის პროვინციაშიც გააფთრებული ომი გრძელდება. აბისინელთა მოქმედება ჰქმნის იმის საფრთხეს, რომ ოგადენსა და მოპიჯნავე იტალიის სომალის შორის კავშირი შესწყდება. „ის ქვეყანა, რომელსაც იტალია იმედოვნებდა ნედლეულის ძვირფას წყაროდ გამოეყენებინა, მხოლოდ ტვირთად დააწვა იტალიის ისედაც გამოფიტულ ბიუჯეტს",—სწერს „დეილი ჰერალდი".

სილატაკის უკიდურეს საზღვრამდე მისული, ფაშისტ დამპყრობთა მიმართ წმინდათა-წმინდა სიძულვილით აღსავსე იტალიელი ხალხი იწყებს ბრძოლის დროშის აღმართვას. მღელვარება არმიაში, ანტიფაშისტური გამოსვლების ფართო ტალღა, უმუშევართა და სასაკლაოზე გარეკილი ჯარისკაცების დედათა აშკარა გამოსვლები, უკმაყოფილების ზრდა ფაშისტურ ორგანიზაციათა შიგნითაც კი, — ყოველივე ეს იტალიის ფაშისტ მმართველთათვის საშიში მომავალი რევოლუციური ბრძოლების სიმპტომებია.

ს. ალექსეევი

მოძმე რესპუბლიკების მწერლები ტ. გ. შევჩენკოს 125 წლისთავის შესახებ

კიევი, 1 ოქტომბერი (საკდესი). მოძმე ნაციონალურ რესპუბლიკათა მწერლები დიდ ინტერესს იჩენენ უკრაინის ხალხის დიადი შვილის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების მომავალი 125 წლისთავისადმი. უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო კომიტეტს მოსდის მწერალთა წერილები და დეპეშები თხოვნით, რათა გადაეგზავნოთ მათ შევჩენკოს ნაწარმოებთა სტრიქონთარგმანები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გადასათარგმნად.

საიუბილეო კომიტეტმა უკვე მოამზადა უკრაინის უდიდესი პოეტის საუკეთესო პოემების 4 ათასზე მეტი სტრიქონთარგმანი უზბეკეთში, ჩუვაშეთისა და მორდავის ასსრ-ში გადასაგზავნად.

კიევში მოელიან მოძმე რესპუბლიკების პოეტებს. ისინი აქ იმუშავებენ ტ. გ. შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმანზე. ჩამოვა ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. აზერბაიჯანის პოეტების ჯგუფი ორდენოსანი პოეტის სამედ ვურგუნის მეთაურობით.

მსოფლიოს გარდამქმნელი თეორია

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის კურსის გამოცემით სტალინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიას ხელში მისცა კოლოსალური ძალის იარაღი,—და ამ ძალას სულ უფროდაუფრო სრულად, უფროდაუფრო ნათლად, უფროდაუფრო გარკვეულად სწვდება ჩვენი აქტივი, ჩვენი ინტელიგენცია. ავტორები ნაკლებფასოვანი სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიებისა, რომლებიც დღემდე ხმარებაში იყო, ძალიან თვითნებურად—და ზოგჯერ უხეში არასისწორით—გადმოგვცემდნენ ბოლშევიკური პარტიის ისტორიას, ჰქმნიდნენ ქაოსსა და არევდარევას მკითხველთა ტვინში. ახლა ამას ბოლო მოეღო—შექმნილია **ერთიანი,** მაღალმეცნიერული, ავტორიტეტულად მოწონებული, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელო, რომელიც თვითეულ ჩვენს აქტივისტს აიარაღებს ლენინ - სტალინის დიადი პარტიის ისტორიის ნამდვილი ცოდნით, კაცობრიობის მოწინავე თეორიის — მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძვლების ცოდნით.

ამ თეორიის მნიშვნელობა, როლი მსოფლიოს გარდაქმნაში ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. ისტორიის მსვლელობით მოწმდება იდეების ძალა და სისწორე. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია ისტორიის მრავალი საბრძოლო ათეული წლებით არის შემოწმებული მოქმედებაში და მან ბრწყინვალედ გაიარა ეს შემოწმება, ბრწყინვალედ გაამართლა თავისი თავი. „კომუნისტური მანიფესტიდან" რომელსაც ამხანაგმა სტალინმა მხატვრულად უწოდა მარქსიზმის ქებათა-ქება, სტალინური კონსტიტუციის გამარჯვების ჩვენს დღეებამდე — ათეული წლობით იზრდებოდა, მტკიცდებოდა, იმარჯვებდა მრავალრიცხოვან ბრძოლებში და ვითარდებოდა ჩვენი დიადი თეორია, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნას აწარმოებს და გარდაჰქმნის მას კომუნიზმის საფუძველზე.

მარქსიზმის თეორიის განვითარებისა და გამდიდრების ნიმუში გახდა ვ. ი. ლენინის კლასიკური ფილოსოფიური შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომლის ოცდაათი წლისთავს ჩვენ დღეს აღვნიშნავთ. ლენინის ეს შესანიშნავი შრომა იყო ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის **თეორიული** მომზადება.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მარქსისტულ - ლენინური თეორიის ძალასა და მნიშვნელობას ბოლშევიკთა ისტორიული ბრძოლისა და გამარჯვებათა **ფაქტებზე.** უთეორიოდ საზოგადოების განვითარების კანონების უცოდნელად, უიმისოდ, რომ ამ კანონებს ჩასწვდე, განავითარო, აღმოაჩინო ახალ - ახალი კანონები, — პარტიას არ შეუძლია ხელმძღვანელობა და მას წყვდიადში გზააბნეული სიარული მოუხდებოდა.

ჩვენი პარტია ათეულწლობით იდგა და სდგას მუშათა კლასის სათავეში და მას სოციალიზმის მრავალრიცხოვან მტრებთან სასტიკ ბრძოლაში მტკიცედ მიჰყავდა და მიიყვანა მუშათა კლასი და მთელი ხალხი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე, დედამიწის $1/6$ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვებამდე. ჩვენი პარტიის ეს სიმტკიცე, პარტიის მიერ მუშათა კლასისა და მთელი ხალხის მიმართ ხელმძღვანელობის სისწორე ემყარება ისტორიის მსვლელობის **წინასწარ განჭვრეტას,** საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნას, ამ წინასწარი განჭვრეტის იარაღი, გასაღები კი **მარქსისტულ - ლენინური თეორიაა.** ჩვენი პარტია იმარჯვებდა, იმარჯვებს და გაიმარჯვებს სოციალიზმის ყველა მტერზე, ვინაიდან იგი დაუფლებულია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, როგორც **მოქმედების სახელმძღვანელოს,** ვინაიდან მან ისწავლა მარქსისტული თეორიის სულ წინ და წინ წაწევა და მისი გამდიდრება კომუნიზმისათვის ბრძოლის სულ ახალ-ახალი გამოცდილებით.

მარქსისტულ - ლენინური თეორია — მსოფლიოს გარდამქმნელი ძალაა. საზოგადოებრივი იდეების ამ ძალისა და როლის მიჩქმალვას, დამცირებას ცდილობდნენ მარქსიზმის მტრების მრავალრიცხოვანი ჯგუფები და პატარა ჯგუფები, რითაც ისინი ამახინჯებდნენ მარქსიზმს, ვულგარული ეკონომიური მატერიალიზმით სცვლიდნენ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, ისე უყურებდნენ ისტორიას, როგორც ეკონომიური კანონების თვითმოძრაობას, სადავოდ ხდიდნენ და უარჰყოფდნენ იდეების, თეორიის ძალას საზოგადოების გარდაქმნაში. ასეთ ვულგარიზაციას უკანასკნელ დრომდე ცოტად თუ ბევრად გასავალი ჰქონდა ბევრ წრეში. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია გამანადგურებელ ლახვარს სცემს მარქსიზმის ყველა ვულგარიზატორს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორია კვლავ და კვლავ გვიჩვენებს იდეების დიად ძალას, თეორიის დიად ძალას. ეს ძალა რომ განმტკიცდეს და გამრავლდეს, ლენინ-სტალინის პარტია მოუწოდებს თვითეულ თავის აქტიურ მოღვაწეს, მოუწოდებს საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს: **დაეუფლონ მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიას,** მოისაზრონ იგი არა დოგმატიკურად, არამედ შემოქმედებით, და **წასწიონ იგი წინ!**

შემცდარია იმის ფიქრი, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანა ძალიან რთული და მძიმეა ჩვენი კადრებისათვის. არ არსებობს ისეთი ციხე - სიმაგრეები, რომელთა აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ! ყველა და ყოველგვარი ციხე - სიმაგრის აღების გასაღები მარქსისტულ-ლენინური თეორიაა და ამ გასაღებს რომ დაეუფლოს, პარტიულმა აქტივისტმა, საბჭოთა ინტელიგენტმა მხოლოდ გადაჭრით უნდა დაისახოს თავის წინაშე ეს მიზანი, უნდა გამოიჩინოს შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მისაღწევად.

მართლაც, როდის და სად ყოფილა კიდევ ასეთი საუცხოო პირობები მოწინავე თეორიის დასაუფლებლად, როგორც ახლა ჩვენში გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშია! ყველა ამხანაგს, რომელმაც ეს კეთილშობილი ამოცანა დაისახა მიზნად, — სამსახურს გაუწევს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი, მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები. იმისათვის, რომ ნამდვილად დავეუფლოთ მარქსისტულ - ლენინურ თეორიას, საჭიროა შევისწავლოთ **საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაც, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომებიც,** უნდა შევისწავლოთ კ. მარქსის „კაპიტალი", რომელიც შეიცავს ყოველივე ძირითადს, რაც მოგვცა მარქსიზმმა ლენინამდე და სტალინამდე.

მარქსისტულ-ლენინური თეორია საჭიროა შევისწავლოთ სერიოზულად, ღრმად, **შემოქმედებით** — არა როგორც დოგმა, არამედ როგორც მოქმედების სახელმძღვანელო. თეორიის მხოლოდ ასეთი შესწავლაა მტკიცე, მხოლოდ ის იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეითვისო

„... ამ თეორიის **არსი** და ისწავლო ამ თეორიის გამოყენება რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება ნიშნავს — გქონდეს უნარი გაამდიდრო ეს თეორია რევოლუციური მოძრაობის ახალი გამოცდილებით, გქონდეს უნარი გაამდიდრო იგი ახალი დებულებებითა და დასკვნებით, გქონდეს უნარი **განავითარო იგი და წასწიო წინ,** არ ერიდებოდე იმას, რომ, თეორიის არსზე დაყრდნობით, შესცვალო ზოგიერთი მისი დებულებები, და დასკვნები, რომლებიც უკვე მოძველებული გახდნენ, ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ახალ ისტორიულ ვითარებას შეესაბამებიან" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. დასკვნა).

ხოლო ეს არის **მთავარი,** ეს არის ძირითადი აზრი თეორიის დაუფლების ამოცანისა, რომელიც პარტიამ დასახა ჩვენი კადრების წინაშე, საბჭოთა ინტელიგენციის წინაშე. ვინაიდან ჩვენი კადრები, საბჭოთა ინტელიგენცია ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ანხორციელებენ, საქმით ატარებენ მთელ კოლოსალურ მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარგში.

სოციალიზმმა გაიმარჯვა დედამიწის $1/6$ ნაწილზე, მაგრამ $5/6$ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ბატონობის ქვეშ იმყოფება. ჩვენი ქვეყანა იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომელიც დაუღალავ ბრძოლას აწარმოებს სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ წინააღვუდგეთ კაპიტალისტურ გარემოცვას, რომ დავამარცხოთ კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენ დაუღალავად უნდა განვამტკიცოთ ჩვენი თავდაცვის ძლიერება, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის **კადრები,** ჩვენი ინტელიგენცია, იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ნამდვილად შეასრულონ თავისი საპატიო, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი სამუშაო, შეეძლოთ დაინახონ და აღმოფხვრან კაპიტალისტური გარემოცვიდან გამოსული მტრების ყველა და ყოველგვარი ოინები და ძირგამომთხრელი მუშაობა, კარგად უნდა იყვნენ შეიარაღებულნი საზოგადოების მოძრაობის კანონების ცოდნით.

ეს ამოცანა — კადრების, ინტელიგენციის შეიარაღებისა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, — ამჟამად დგას **ყველა** პარტიული ორგანიზაციის წინაშე, **როგორც უმნიშვნელოვანესი, ძირითადი, გადამწყვეტი** ამოცანა. ამ ამოცანის შესაბამისად უნდა გარდაიქმნას პარტიული პროპაგანდის სისტემა. ხელი უნდა ავიღოთ რაოდენობით გატაცებაზე, წრეების, სემინარების, პარტკაბინეტების რაოდენობისათვის გამოკიდებაზე, ხელი უნდა მოვკიდოთ **მთავარს** — პროპაგანდის **ხარისხის** გაუმჯობესებას. წრეები სრულიადაც არ არის მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ერთადერთი ფორმა. საბჭოთა ინტელიგენტების უმრავლესობას სურს ინდივიდუალურად იკითხოს და შეისწავლოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები. საჭიროა მხოლოდ დავეხმაროთ ასეთ შესწავლას ფართოდ დაყენებული ბეჭდვითი და სიტყვიერი კონსულტაციით, **საუკეთესო** პროპაგანდისტთა ლექციებით, ასეთი ლექციების გამოცემით.

ლენინ-სტალინის პარტია განუწყვეტლივ სწევს წინ მარქსისტულ თეორიას. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მთელი მსვლელობა გვასწავლის, რომ

„... ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ—სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთად-ერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

და სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქსისტული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს".

შექმნეს რა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღეს პარტია ახალი საუცხოო მეცნიერული შრომით, რომელიც ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია უდიდესი ძალის ბერკეტია, რომლითაც პარტია ისარგებლებს იმისათვის, რომ განუზომელ სიმაღლეზე აიყვანოს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმე, რომ ჩვენი თეორიის გარდამქმნელ ძალას დაეუფლონ მილიონობით საბჭოთა ინტელიგენტები. ეს ახალ მძლავრ ძალას შეჰმატებს ჩვენს პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს. ეს დააჩქარებს კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში, დააჩქარებს კაპიტალიზმის დამხობას და კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში.

„პრავდის" მოწინავე, 2/X.

ფაშისტები შეიჭრნენ ჩეხოსლოვაკიაში



მიუნხენის კონფერენციის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ჩეხოსლოვაკიის მიერ გერმანიას უნდა გადაეცეს სუდეტის ოლქი სამ მილიონ ნახევარი მცხოვრებით. ამ შეთანხმების თანახმად, ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში უკვე შეიჭრა ფაშისტური გერმანიის ჯარები. პირველ ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის ჯარმა დაიწყო სამხრეთ-ჩეხეთის იმ რაიონების ევაკუაცია, რომლებიც ავსტრიის საზღვარს იკვრიან. ევაკუაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე ხების რაიონშიც, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის საზღვარზე, იმ ვარაუდით, რომ დღეს, ხვალ და ზეგ დამთავრდეს იქ გერმანიის ჯარების შეყვანა.

ჩეხოსლოვაკიისადმი პოლონეთის პირველი ოქტომბრის ულტიმატუმის თანახმად, რომელიც აგრეთვე მიიღო ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ, პოლონეთის სამხედრო ხელისუფალთ გადაეცა ქ. ჩესკი-ტეშინი. დაიწყო აგრეთვე ტეშინისა და ფრიშტატის გადაცემა. ტეშინის სილეზია, რომელიც პოლონეთის ხელში გადადის და აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიის ის ნაწილები, რომლებსაც გერმანია იპყრობს, მდიდარია მრეწველობით და მადნეულით. მორავიის ოსტრავის რაიონში ქვანახშირის დიდი მარაგია. აქ მოთავსებულია აგრეთვე მრავალი მეტალურგიული და სამხედრო ქარხანა.

ჩეხოსლოვაკიის ჯარი შეუდგა ხების რაიონის ევაკუაციას

ლონდონი, 1 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ხებიდან იუწყება (ქალაქი ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის საზღვარზე), ჩეხოსლოვაკიის ჯარი შეუდგა ხების რაიონის ევაკუაციას, რომელიც შედის სუდეტის ოლქის იმ ნაწილში, სადაც გერმანიის ჯარი შეყვანილ იქნება 3, 4 და 5 ოქტომბერს.

გერმანიის ჯარის შესვლა ჩეხოსლოვაკიაში

ლონდონი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა 1 ოქტომბერს 14 საათზე გადალახა ჩეხოსლოვაკიის საზღვარი ჰელფენბერგსა (ავსტრიის მხრივ) და ფინსტერაუს შუა და დაიწყო მიუნხენის 29 სექტემბრის შეთანხმებით დაწესებული № 1 უბნის დაკავება.

პლებისციტის მომზადება ჩეხოსლოვაკიის ცალკე რაიონებში

პრაღა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). უახლოეს დღეებში ჩეხოსლოვაკიის იმ რაიონებში, სადაც, მიუნხენის შეთანხმების თანახმად, პლებისციტი უნდა ჩატარდეს, შევა საერთაშორისო სამხედრო ნაწილები. პირველი შევა ინგლისის ქვეითი ჯარის ბრიგადა 10.000 კაცის რაოდენობით.

ჩეხოსლოვაკიის ორი მინისტრის გადადგომა

პრაღა, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ორი უპორტფელო მინისტრი ზენკლი (ქალაქ პრაღის ქალაქის თავი) და ბუკოვსკი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ მიუნხენის შეთანხმების მიღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგა.

ჩემბერლენმა ჰიტლერს კოლონიები აღუთქვა

ჟენევა, 1 ოქტომბერი (საკდესი). ერთა ლიგის წრეებში დღეს, ლონდონის ოფიციალური წყაროების ცნობათა საფუძველზე, ადასტურებდნენ, რომ ჩემბერლენსა და ჰიტლერს გუშინ საუბარი ჰქონდათ კოლონიების ხელახალი განაწილების საკითხის შესახებ. ჩემბერლენმა ამ საკითხის გადაწყვეტა დაუკავშირა დასავლეთის სახელმწიფოთა შორის საჰაერო პაქტის დადებას. კოლონიათა საკითხის გადაწყვეტის დროს, ხაზგასმით აღნიშნავენ ლონდონში, „ბრიტანეთის იმპერია არ უნდა იყოს ერთად-ერთი, რომლისაგანაც მოითხოვენ მსხვერპლს; საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და პორტუგალია უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამ პრობლემის გადაწყვეტაში, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება მოწესრიგდეს შორეულ - აღმოსავლეთისა და ჩინეთის საკითხიც".

მიუნხენის შეთანხმების სრული ტექსტი

პარიზი, 30 სექტემბერი (საკდესი). ევროპის დეპეშათა სააგენტოები გადმოგვცემენ იმ შეთანხმების შემდეგ ტექსტს, რომელიც 29 სექტემბერს იქნა დადებული მიუნხენში ჰიტლერის, მუსოლინის, დალადიესა და ჩემბერლენის მიერ:

„სუდეტელ გერმანელთა ოლქის შესახებ მიღწეული პრინციპული შეთანხმების თანახმად, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია შეთანხმდნენ სუდეტელ გერმანელთა ოლქის გამოყოფის შემდეგ პირობებსა და საშუალებებზე, აგრეთვე ამისათვის საჭირო ღონისძიებებზე. ამ შეთანხმების თვითეული მონაწილე პასუხისმგებლად აცხადებს თავს მის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

ეს ღონისძიებანი მდგომარეობენ შემდეგში:

1. სუდეტის ოლქის ევაკუაცია იწყება 1 ოქტომბერს.

2. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია თანახმანი არიან იმაზე, რომ ოლქის ევაკუაცია დამთავრდება 10 ოქტომბრამდე, ამასთან არ უნდა იქნას დანგრეული ოლქში არსებული არავითარი ნაგებობანი. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა კისრულობს, იმის პასუხისმგებლობას, რომ არსებულ ნაგებობებს არ მიადგება არავითარი ზიანი.

3. ევაკუაციის დეტალებს დააწესებს საერთაშორისო კომისია, რომელიც შესდგება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებისაგან.

4. გერმანიის ჯარების მიერ იმ რაიონების ეტაპების მიხედვით დაკავება, რომლებშიაც გერმანული მოსახლეობა სჭარბობს, დაიწყება 1 ოქტომბერს. ოთხ ზონას, რომლებიც აღნიშნულია ამასთან დართულ რუკაზე, გერმანიის ჯარები დაიკავებენ შემდეგი წესით:

1. ზონას, რომელიც აღნიშნულია რომაული ციფრით I, — პირველ და ორ ოქტომბერს.
2. ზონას, რომელიც აღნიშნულია რომაული ციფრით II, — ორ და სამ ოქტომბერს.
3. ზონას, რომელიც აღნიშნულია რომაული ციფრით III, — სამ, ოთხ და ხუთ ოქტომბერს.
4. ზონას, რომელიც აღნიშნულია რომაული ციფრით IV, — ექვს და შვიდ ოქტომბერს.

დანარჩენ რაიონებს, სადაც გერმანული მოსახლეობა სჭარბობს, გამოარკვევს ზემოხსენებული საერთაშორისო კომისია დაუყოვნებლივ და მათ დაიკავებენ გერმანიის ჯარები 10 ოქტომბრამდე.

5. მესამე პარაგრაფში მოხსენებულმა საერთაშორისო კომისიამ უნდა განსაზღვროს ის რაიონები, რომლებშიაც უნდა მოხდეს პლებისციტი. ამ რაიონებს პლებისციტის დამთავრებამდე დაიკავებენ საერთაშორისო სამხედრო ნაწილები. ამავე საერთაშორისო კომისიამ უნდა განსაზღვროს პლებისციტის ჩატარების წესი, ამასთან საფუძვლად მიღებული იქნება საარის ოლქში პლებისციტის ჩატარების წესი. საერთაშორისო კომისიამ აგრეთვე უნდა დააწესოს პლებისციტის ჩატარების დღე. მაგრამ ეს დღე არ უნდა გადასცილდეს ნოემბრის დამლევს.

6. საზღვრების საბოლოო დაწესება ევალება საერთაშორისო კომისიას. ამ საერთაშორისო კომისიას ენიჭება უფლება ურჩიოს ოთხ სახელმწიფოს—გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს და იტალიას—განსაკუთრებულ შემთხვევებში დაუშვან ცალკეული (უმნიშვნელო) გადახრები მტკიცე ეთნოგრაფიული პრინციპისაგან იმ ზონებში, სადაც პლებისციტი არ ტარდება.

7. გათვალისწინებულია ოპტაციის*) უფლება იმათთვის, ვისაც სურს გადასახლდეს იმ რაიონებში, რომლებიც ჩეხოსლოვაკიას უნდა ჩამოშორდეს, აგრეთვე იმათთვისაც, ვისაც სურს დასტოვოს ეს რაიონები. ოპტაცია უნდა მოხდეს 6 თვის განმავლობაში ამ ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

ოპტაციასთან დაკავშირებული ყველა პრინციპული საკითხის დაზუსტება, ისე როგორც მისი გატარების წესის განსაზღვრა, ეკისრება გერმანია - ჩეხოსლოვაკიის კომისიას.

8. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ამ შეთანხმების დადების დღიდან 4 კვირის განმავლობაში გაანთავისუფლებს სამხედრო და საპოლიციო მოვალეობისაგან ყველა სუდეტელ გერმანელს, რომლებიც ამას მოისურვებენ. ამავე ვადის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობა გაანთავისუფლებს სუდეტელ გერმანელებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან პოლიტიკური დანაშაულისათვის".

შეთანხმებას ხელს აწერენ ჰიტლერი, ჩემბერლენი, დალადიე, მუსოლინი.

შეთანხმებას დართული აქვს შემდეგი დანართები:

პირველი. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები აცხადებენ, რომ, თუ უახლოესი სამი თვის განმავლობაში დაინტერესებულ მთავრობებს შორის არ იქნა მოგვარებული, შეთანხმების საშუალებით, ჩეხოსლოვაკიაში პოლონელ და უნგრელ უმცირესობათა პრობლემა, მაშინ ეს პრობლემა გახდება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა იმ მეთაურების შემდგომი თათბირის მსჯელობის საგნად, რომლებიც აქ ესწრებიან.

მეორე. მისი უდიდებულესობის დიდი ბრიტანეთის მეფის მთავრობა და საფრანგეთის მთავრობა შეუერთდნენ ამ შეთანხმებას, ახსოვთ რა, რომ მათ, თანახმად ინგლის - საფრანგეთის 19 სექტემბრის იმ შეთანხმების მე-6 პარაგრაფისა, რომელიც შეეხება არაპროვოცირებული აგრესიის წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ახალი საზღვრების საერთაშორისო გარანტიებს, აქვთ განსაზღვრული ვალდებულებანი. როგორც კი მოგვარდება ჩეხოსლოვაკიაში პოლონელ და უნგრელ უმცირესობათა საკითხი, გერმანია და იტალია მისცემენ ჩეხოსლოვაკიას თავის გარანტიას.

მესამე. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები თანახმანი არიან იმაზე, რომ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული საერთაშორისო კომისია შემდგარი იქნება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივნისაგან, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ელჩებისაგან, რომლებიც ბერლინში არიან აკრედიტებულნი, და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ დანიშნული ერთი წარმომადგენლისაგან.

მეოთხე. ყველა საკითხი, რაც ოლქის გადაცემას შეეხება, ექვემდებარება საერთაშორისო კომისიის კომპეტენციას.

---

*) ოპტაცია — მოქალაქეობის არჩევა, რისი უფლებაც ენიჭება იმ ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც ერთი სახელმწიფოსაგან მეორე სახელმწიფოს ხელში გადადის.

ჰიტლერი ცდილობს მოსპოს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო

ჟენევა, 1 ოქტომბერი (საკდესი). საქმეს გაცნობილი წრეები ჟენევაში აცხადებენ, რომ პოლონეთის ულტიმატუმის წარდგენა ჩეხოსლოვაკიისადმი წარმოადგენს წინასწარ მოფიქრებულსა და ჰიტლერის მიერ შთაგონებულ პროვოკაციას, რომელიც ნავარაუდევია ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ სავსებით მოისპოს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო.

ამ განცხადებას ადასტურებს აქ მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის ფაშიზმის მიერ დაპყრობილ ავსტრიის ტერიტორიაზე ეწყობა „მოძრაობა" იმ მიზნით, რომ სლოვაკია გამოყოფილ იქნას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოდან. როგორც ვენის გაზეთი „ნოიე ფრაიე პრესე" იუწყება, ვენაში მცხოვრებმა „სლოვაკებმა" იქ დემონსტრაცია მოაწყეს და გადასწყვიტეს შეადგინონ ლეგიონი, რათა შეიარაღებული ბრძოლა აწარმოონ სლოვაკიის დასაპყრობად.

ნრიული გადაფრენა 11 მოკავშირე რესპუბლიკაში

თვითმფრინავი „პს-89" ერევანში

ერევანი, 2 ოქტომბერი (საქდესი). დღეს, 15 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით ერევნის აეროდრომზე დაეშვა ჩქარი სამგზავრო თვითმფრინავი „პს—89", რომელიც ახდენს გადაფრენას 11 მოკავშირე რესპუბლიკაში.

აეროდრომზე თვითმფრინავის ეკიპაჟს და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარსამმართველოს ბრიგადას, რომელიც თვითმფრინავზე იმყოფება, შეხვდნენ სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გევონდიანი, სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიქაელიანი და სომხეთის ცალკეული საავიაციო რაზმის პირადი შემადგენლობა.

ხომალდის უფროსმა ამხ. ფოკანოვმა განაცხადა, რომ უბანი მინერალური წყლებიდან, საიდანაც დღეს გამოფრინდა თვითმფრინავი, ერევნამდე, ერთერთი ყველაზე ძნელი უბანია გადაფრენის მთელს გზაზე. კავკასიონის მთავარ ქედზე გადმოფრენისას თვითმფრინავი მოფრინავდა 5.000 მეტრზე მაღლა. ალაგ-ალაგ თვითმფრინავი ღრუბლებს ზევით მიდიოდა.

ამ მთიან პირობებში, ისე როგორც გადაფრენის მთელს დანარჩენ განვლილ უბანზე, თვითმფრინავმა საუკეთესო თვისებები გვიჩვენა.

დღისით ბრიგადის წევრებმა შეამოწმეს თვითმფრინავთა პარკისა და აეროპორტის მომზადება შემოდგომა-ზამთრის ნავიგაციისათვის და გაეცნენ აეროპორტის კომკავშირული ორგანიზაციის მომზადებას ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავის დღესასწაულისათვის. საღამოს შესდგება ჩამოსული ამხანაგების შეხვედრა პარტიისა და საბჭოთა სომხეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან, კომკავშირის მუშაკებთან და მფრინავ კომკავშირელებთან.

ხვალ დილის 7 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით თვითმფრინავი გაფრინდება თბილისს.



სრულიად-საქართველოს პირველი სამთო ველოტური.

სურათზე: ველოტურის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) ორდენოსანი მ. რიბალჩენკო, რეკორდსმენი გ. ხაბურზანია, (თბილისი), უსატოვი (სოხუმი) და ლეჟავა (თბილისი). ფოტო გ. ლინგისა

სრულიად-საქართველოს პირველი სამთო ველოტური

160 კილომეტრი ერთ დღეში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

1 ოქტომბერს საქართველოს ველოსიპედისტებმა განსაკუთრებული წარმატებით განვლეს მეტად ძნელი ეტაპი გურჯაანიდან მცხეთამდე. გომბორის უღელტეხილზე გადმოსვლისას საქართველოს საუკეთესო ველოსიპედისტებმა გვიჩვენეს გამძლეობის, ამტანობისა და ვარჯიშის საუკეთესო ნიმუშები.

გურჯაანიდან ველოტურის მონაწილენი გავიდნენ შუადღისას. თელავამდე მშვენიერი გზაა და ისინიც დაუბრკოლებლივ მიქროდნენ.

ველოტურის მონაწილეთა შესახვედრად თელავში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მოედანზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

თელავს აქეთ შუამთის აღმართიდან დაიწყო დაბრკოლებები. ღორღიან გზაზე ველოსიპედისტები იძულებული გახდნენ ზომიერი სისწრაფით ევლოთ. სოფ. სეროზაში, თეთრწყლებში და მთაში ველოსიპედისტებს ხვდებოდნენ ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა.

სოფ. გომბორთან შემოგვაღამდა, მუხროვანის მახლობლად ამოვარდა გრიგალისებური ქარი. ღამე იყო. რამდენიც ვუახლოვდებოდით ვაზიანს, ქარი უფრო და უფრო მატულობდა. სამგორის ველზე მტვრის ბუღში ქარი კენჭებსა და ქვიშას ურევდა, თან საშინლად ციოდა, მაგრამ ველოსიპედისტები არ შეუშინდნენ ამ დაბრკოლებებს და მედგრად მიიწევდნენ წინ. სიცივეში, ქარსა და სიბნელეში ჩვენმა ველოსიპედისტებმა, რომლებიც საზაფხულო სპორტული ფორმის ტანისამოსით იყვნენ, გაიარეს 60-მდე კილომეტრი ისე, რომ არავინ დაშავებულა.

ამ საღამოს არაჩვეულებრივი აშტანობა და გამძლეობა გვიჩვენეს ველოსიპედისტებმა: გ. ლეჟავამ, აგაჯანოვმა, გადარბენის ლიდერმა ი. სტეფანოვმა, გ. პაიჭაძემ, ზვანბაიამ, ახალქალაქელმა ხაჩიკ ტარზიანმა, მახარაძელმა მაღულაოიამ, ქუთაისელმა ბალანჩივაძემ, კოფ აშრაფიანმა, ზასუხაშვილმა, ჯუჯულაშვილმა, ურუშაძემ, ბარამიამ, სოხუმელმა უსატოვმა, ბარამიამ (ზუგდიდი), აივაზოვმა, ლევან გოჯალაშვილმა და სხვ.

მცხეთაში პირველი მოვიდა თბილისელი გ. ლეჟავა, რომელმაც მანძილი გურჯაანიდან მცხეთამდე (160 კილომეტრი) განვლო 8 საათსა და 50 წუთში. მას მოჰყვა ი. სტეფანოვი, რომელიც ლეჟავას მხოლოდ 12 წუთით ჩამორჩა. შემდეგ მოვიდა ნინიკაშვილი (თბილისი) და სხვები.

ველოტურში კონკურსგარეშე მონაწილემ ორდენოსანმა ამხ. მ. რიბალჩენკომ ამ დღეს თავისი ფენომენალური ძალა გამოამჟღავნა. გურჯაანიდან მცხეთამდე იგი ველოსიპედით ისე ჩამოვიდა, რომ დიდ აღმართებში ერთხელაც არ გადმოსულა მანქანიდან და მთელ გზაში ერთხელაც არ შეუსვენია.

ველოტურის ავტომობილებით მომსახურება არადამაკმაყოფილებელია. ველოტურის მონაწილეებს სულ 3 ავტო მოჰყვებოდა და ცალკე დაწინაურებულ ჯგუფებს ღამით სიბნელეში მგზავრობა უხდებოდათ. არ იყო ავტომობილები, რომ სახიფათო ადგილებზე მაინც გზა გაეშუქებინათ ველოსიპედისტებისათვის.

ველოტურის სარდლობამ, უფრო კი ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტმა ეს ნაკლი უნდა გამოასწორონ. ტურის მონაწილეთა მომსახურებისათვის საჭიროა კიდევ რამდენიმე ავტომობილი.

მიუხედავად ამ მძიმე და მომქანცავი გზისა, ველოტურის მონაწილენი შესანიშნავად გრძნობენ თავს.

ორ ოქტომბერს დასასვენებელი დღეა. 3 ოქტომბერს განვაგრძობთ გზას დასავლეთ საქართველოსაკენ.

დ. ლომთაძე.

კრებები და მოხსენებები

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლ. ი. ებანოიძე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ალ. წულუკიძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ბ. ნათაძე და დოც. პ. თავხელიძე.

ამავე უნივერსიტეტის № 86 აუდიტორიაში 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ა. ლ. ხარაძე ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „გვარ მინუარციის სისტემატიკისათვის".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. დ. ი. სოსნოვსკი და პროფ. ა. ა. გროსჰეიმი.

ორივე დისერტანტის შრომების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ., № 13) შესდგება ამხ. დ. ბენაშვილის მოხსენება თემაზე: სიმონ ქვარიანის ისტორიული რომანი „დიდი მოურავი".

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

3 ოქტომბერს:

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: საკავშირო პროფსაბჭოს VII პლენუმის შედეგები. ლექტორები: ქართულ ენაზე ამხ. მურუსიძე, რუსულ ენაზე ამხ. გუგუშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი — ლექცია თემაზე: გერმანიის ფაშიზმის მიერ ავსტრიის დაპყრობა და ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის მუქარა. ქართულ ენაზე. ლექტორი ამხ. გ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1536939, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გერასიმე ოტიას-ძე ჯიშკარიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1508709, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ტიგრან ხაჩატურის-ძე ბარსეგიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი.

3/X	4/X	5/X
წარმოდგენა 15	წარმოდგენა 16	წარმოდგენა 17
უდანაშაულოდ დამნაშავენი	უდანაშაულოდ დამნაშავენი	ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დილის 12-დან საღამოს 9 საათამდე, დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

მუდმივი ადგილების აბონენტთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ 3 ოქტომბრის წარმოდგენა მოხსნილია. აღნიშნული რიცხვის ბილეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სურვილისამებრ, ერთი დეკადის განმავლობაში, ბილეთი წინასწარ უნდა შემოწმდეს თეატრის სალაროში ადგილის აღსანიშნავად.

4/X	5/X
ნაპერწკლიდან	მური

დასაწყ. 8 ს. სალარო ღიაა დილის 12-დან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
აცხადებს, რომ ასპირანტურაში შემომსვლელთათვის ცოდნის შემოწმება დაიწყება ა. წ. 7 ოქტომბრიდან.
1332 რექტორი დ. ყიფშიძე.

საქჯიშპირუტყვდამზადების კანტორა ამით იუწყება, რომ თანახმად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრძანებისა № 2575 ა. წ. 5 სექტემბრის თარიღით, საქართველოს ჯიშპირუტყვდამზადების კანტორის სისტემაში შემავალი გურჯაანის
ჯიშპირუტყვდამზადების სარაიონთაშორისო ბაზა
ლიკვიდირებულია.
მისი აქტივი და პასივი გადაეცა, როგორც უფლების მონაცვლეს, საქჯიშპირუტყვდამზადების კანტორას, რომელიც იმყოფება ქ. თბილისში ლენინის ქ. № 9-ში.
დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციებს შეუძლიათ პრეტენზიების წარდგენა ა. წ. 15 ოქტომბრამდე.
290 საქჯიშპირუტყვდამზადების კანტორა.

ხელმომწერთა საყურადღებოდ
ჟურნალ „მშრომელ ქალზე"
ხელისმოწერა ოქტომბრისათვის თბილისში მიიღება 5 ოქტომბრამდე.
ხელისმოწერას მიიღებენ:
„სოიუზპეჩატი", ფოსტა, წერილდამტარებლები, ხელისმოწერის შემკრები საწარმო-დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობა ტრანსპორტზე.
3—2 45

საქ. სარეწ. საბჭოს სისტემაში შემავალ არტელ „ქაფ-მაუდის" დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

№ № რიგ.	აქტივი: მუხლების დასახელება	ჯამი	№ № რიგ.	პასივი: მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	87319	1	ფონდები	219048
2	ნედლეული და მასალები	151636	2	გრძელვადიანი კრედიტები	6264
3	წარმოება და გადამუშავება	8173	3	ანგარიშსწორებანი	43541
4	პროდუქცია და საქონელი	63318	4	დაგროვებანი	294790
5	ფულადი საშუალებანი	79407			
6	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	33006			
7	განყენებული საშუალებანი	140784			
	ბალანსი	563.643		ბალანსი	563.643

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	19741	1.	შემოსავალი რეალიზაციით	302512
			2.	სხვადასხვა შემოსავალი	12019
	სულ	19741		სულ	314.531
2.	დაგროვებანი	294.790			
	ბალანსი	314.531		ბალანსი	314.531

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ., ოქმი № 3.

არტელის თავმჯდომარე **გ. საფაროვი.** მთ. ბუხჰალტერის მოადგილე **ო. კოლუაშვილი.** 1581

სრულიად საქართველოს მონადირეთა სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობათა „მონკავშირის" და მისი დამხმარე წარმოებათა დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

№ № რიგ.	აქტივი: მუხლების დასახელება	ჯამი	№ № რიგ.	პასივი: მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	136,2	1	ფონდები	977,6
2	მცირეფასიანი ინვენტარი	25,4	2	მიზნობრივი რეზერვები	26,1
3	ნედლეული და მასალები	91,8	3	მარეგულირებელი ფულები	21,4
4	წარმოება და გადამუშავება	55,6	4	ანგარიშსწორებანი	431,3
5	პროდუქცია და საქონელი	400,6	5	წარსული წლის დაგროვება	41,1
6	ფულადი საშუალებანი	40,8			
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	635,2			
8	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით	16,3			
9	განყენებული საშუალებანი	14,6			
10	წარსულ წელთა ზარალი	69,6			
11	საანგარიშო წლის ზარალი	11,4			
	ბალანსი	1497,5		ბალანსი	1497,5

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ზარალი რეალიზაციით	11,6	1.	შემოსავალი რეალიზაციით	366,3
2.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	490,8	2.	სხვადასხვა შემოსავალი	124,7
	სულ	502,4		სულ	491,0
			3.	დანაკარგები	11,4
	ბალანსი	502,4		ბალანსი	502,4

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ. 27/II-ს.

„მონკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე **სუჯაშვილი.** საფინ. განყოფ. გამგე **ჭავჭანიძე.** 1782

მისამართი რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა 3. 06 83. განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57 61, სასოფლო სამეურნეოს — 3—73 40 მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—36